

XIV

# ოქტრიკ სოფრება

სთიხარო სალიტერატ. ჟურნალი

ფასი 20 კპ.

№ 11 (14)



რეჟისორი ვ. ჯვალისვილი (1884—1924)

კობე მისნი როლებში გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების სახსოვრად



პაატა



ნერონი



ნაპოლეონი

შინაარსი № 11 (14):

მეთური—მსახიობთა ყროლობა: ე. მესხის სახსოვ.

იოსებ იმედაშვილი—ხალად და ხილად.

ბიკ. თევზაია—ქართული ლიტერატურა.

ევ. მესხი—კოტე მესხის სიონის.

ანტონი—სახალხო თეატრი.

ანტონინა აბელიშვილი—მოგონება.

კ. მესხი—სამშობლოდან, შარტი.

ქაჯანა—ჩემი ტაძარი.

ვალენტინა—მელოლობა ღამით.

კაიუს პელი—დღეების კანდელაბი.

იოსებ არჩიათელი—„სად არის“ აკაკის საფლავი?

არ. ცინისთავი—ვებტანე მჭედლიშვილი.

თამარ გოგოლაშვილი—თვალუბის სტრადიფარიუსი (ელეონორა დუზე).

საადი—\* (თავი, ე. ბ.)

პ. იმორთელი—მშობლიური სახე.

ხოსო მაქავარიანი—დაბა-სოფლის მოღვაწე.

ი—ელი—დაბა-სოფლის სცენის მუშაენი.

ი—ბი—ანაგის სახალხო სახლი.

გრ. კ—ია—პატარა ფელტონი: გაახალგაზრდავე-ბის მონატრენი.

რეცენზიები, ხელოვნების ქრონიკა.

# მადლობა გორკოვს

ქურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს სასარგებლოდ ქ. გორში კვირას, მაისის 18-ს, გაიმართა საღამო. საღამოს მოწყობაში მზურვალე მონაწილეობა მიიღეს სოფიო შიხელიის ასულმა გაბარაშვილისამ, მარიამ გიორგის ასულმა მაქავარიანისამ, თამარა ანტონის ასულმა მაკალათამ, ნინო ივანეს ასულმა ლომიჭოისამ, მარიამ ივანეს ასულმა სირაძისამ, ელ. მიხ. ყანჩელმა, დაბა-სოფლის დანსახურებულმა რეჟისორმა ა. ჯაყელმა, მწერალ-მსახიობმა მარიამ გარეყულმა, სცენის მოყვარებმა ტ. ცინცაძემ, გრიჭოვამ, მაქავარიანმა და ვეზირიშვილისამ. მთელი შემოსავალი რედაქციას გადამოეცა. ყველა ზემოთ-ხსენებულ პირთ რედაქცია უფულოთად მადლობას უძღენის.

რედაქ.

## მხატვარ ვარ. მახაროვლიძის

სანიშნუში

### ისკიზმუსს გამოფენა

ქურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში (სახალის ქ. № 5, ახალი კლუბის შესავლის მხრივ, მეორე სართული).

მზურველი შეუძლიანთ დათვადიერონ უფასოდ დილის 10—2 ს.

### სახალხო თეატრი

ოთხშაბათს, ივნისის 11,

ქურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს

### ს ა ლ ა მ ო

სიტყვა: იოსებ იმედაშვილი—ქართული თეატრი.

წარსული, აწმყო, მომავალი

წ ა რ მ ო დ ბ ე ნ ა

### „მალაროს უფროსი გუშა“

მ. ლვამინავას რეჟისორობით.

### „ღარისპანის განსაჭირი“

გ. ბარელის რეჟისორობით.

### ხმლომწიბის თაიფული:

პოეზია—ი. გრიშაშვილი, რ. გვეტაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, იონა ვაკელი, გ. შინატეხელი. სიმღერა—დანი თარხნიშვილი, ვ. ქაშაკაშვილი. მუსიკა—ახალგ. მუსიკოსთა კავშირი. სცენები—ა. აიდაშიძე, ვ. ნინიძე, ჯიბილა, ცეკვა—ანანიშვილი.

ადგილების ფასი 5—50 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს.

„ჯეირანის“ აღმინისტრაცია.

## ფოტოგრაფია

### მეხისი შვანისაი

გადვიდა ახალ ბინაზე—რუსთველის პრ. № 8, მუშათა სახლის პირდაპირ. ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს: იღებს პორტრეტულ, ჯგუფობრივ, შენობათა და სხვ. სურათებს, აღიღებს პორტრეტებს ფერადებით და სხვ.

შეკვეთებს ასრულებს რიგზე, ხელოვნურად. სურათების გადღება დღის 9 ს.—საღ. 6 ს. აქვე მოიოებებ რეკლამიუციის ბეჯადების

### ს ს რ ა თ ე ბ ი

4—1 6.

## „თეატრი ცხოვრება“-ს

რედაქცია მრთავებტულია სახალის ქ. № 5, მეორე სართულში, —ახალი კლუბის შესავლიდან მარცხენა მხარეს (ყოფ. ქართ. თეატრი). ღია: დილით 9 3 ს., ნაშუადღევს 3—5 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილით 10—2 ს. აქვე მიიღება ხელისმოწერა 1924 წ. ქურ.

## „თეატრი და ცხოვრება“-ს

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით 6 მან. (გაგზავნი).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.



1910—1924

წელიწადი XIV

№ 11

შაბათი 20 თ. ნოემბ.



**„თეატრი და სცენა“**

ყოველკვირეული სურათებისა  
კურნალი.

რედაქციის მისამართი: ყოფ ქარ-  
თული თეატრი—სასახლის ქ. № 5.  
„ახალ კლუბის“-ს ეზოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია  
„ოქატრი და ცხვრება“.

იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, კომეზი, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი სმორება

დაარსდა 1910 წ.

1 0 3 6 1 0

გამოცემა 1924 წ.

## სადღესო

მომავალ კვირისთვის ხელოვანთა სა-  
მსახიობთა სახლეში მოწვეულია საქართველოს  
აჩილოზა. მსახიობთა კულტურულ კავშირის ყრი-  
ლობა.

ეს კავშირი 7—8 წ. წინად შესდგა, როცა ქა-  
რთველი მსახიობის პიროვნება და ქართული სას-  
ცენო ხელოვნება ფეხებზე იყელებოდა.

ჩვენი სათეატრო ცხოვრების მწვევე კიხეები  
და კრძოლ ქართველი მსახიობის მდგომარეობა  
დღესაც საყალიბოა.

ქართველი მსახიობი მთელი თავისი არსებით  
შეჯაბუვლია სამშობლო სასცენო ხელოვნების ზრდა-  
განვითარებასთან.

რა მდგომარეობაშია ეს ხელოვნება ჩვენში?  
მეტად სამწუხარო.

ქალაქში (განსაკუთრებით ტფილისში) თუ მსა-  
ხიობთა აუთიმა ჯგუფმა მოიკალათა და ვინც მათს  
„მრწამსს“ არ იზიარებს—სდენინან, დაბა-სოფელი  
სრულიად მივიწყებულა.

აქ ბევრ ადგილას თეატრი პირველყოფილ  
მდგომარეობაშია. ბევრ ადგილას სცენის ხელოვნე-  
ბის არამკითხენი დაჰპატრონებინან, თუ სადმე ნი-  
ჭიერი სცენისმოყვარენი არიან, ანუ 20—30 წლის  
ნამსახური მსახიობნი, უმეტესად ცხოვრების უქულ-  
მართობით გაბითურებულნი.

ამ მიზეზით სასცენო ხელოვნებაც დაკვიეთი-  
ბულია.

ყოველივე ეს მსახიობთა ყრილობამ უნდა გაი-  
თვალისწინოს.

ეს ყრილობა ტფილისის მსახიობთა ერთი  
ჯგუფის აუთიფუხება კი არ უნდა იყოს, არამედ  
სრულიად საქართველოს მსახიობთა შეთანხმებული  
გამოძახილი, საკუთარ წყულთა გამომკვეფი  
და მალამოს დამდეგი.

ათი წელიწადი ჩამოიმარცვლა, რაც  
კ. მისხის დიდი გაწვთინოლ-გონებერი, მალა-  
სახსოვრად ლი ხელოვანი არტისტი კ. მესხი სამ-  
შობლო სცენის ასპარეზს განშორდა.

არა მხოლოდ არტისტი სცენისა, არამედ მო-  
ქალაქე-მოღაწე და თავისი ბედქულ სამშობლოს  
მოჭირნახულეთაგანი,—

მესხთა გვარის ერთი დამამწვენებელთაგანი.  
კოტეს არტისტიულ მოღვაწეობის გარდა  
ჰქონდა სხვა დარგის ნაშრომიც:

ა) დრამატიული ნაწარმოებნი.—შეიძლება ამ  
ნაწარმოებს ახლა ისეთი ფასი ღირა ჰქონდეს, მა-  
გრამ როგორც ჩვენის სათეატრო განვითარება-  
ალორძინების ერთი საფეხურთაგანი—მუდამ მნიშე-  
ნელოვანი იქნება.

ბ) ფელეტონები, სცენები, მჭევრმეტყველური  
სიტყვებიც.

ყოველივე ეს უნდა შეიკრიბოს და ერთ-ორ  
წიგნად გამოიცეს.—ეს იქნება კოტე მესხის ყველა-  
ვი სახსოვარი და ჩვენც ოდნე მიინც ვალს მოვიხ-  
დით ამ ნაბაგდარი მსახიობ-მოღვაწის წინაშე.

ვინ უნდა იკისროს ეს?—ჩვენა გვეონია,—მსა-  
ხიობთა კავშირობა.

\*\*\*\*\*

## ხილად და ხილად

სულის ჯალანი.

ხალხის გადაშენება-დამინების ერთი საუკეთესო  
იარაღთაგანია მისი სულის მოკვლა.

სული კი მაშინ მოკვდება, როცა თვითმოქმე-  
დების უნარს, თვითმეტყველებას დაუშვობთ.

სულის ერთი სამეტყველო საშუალებათაგანია  
სიმღერა. გალობა,—საზოგადოდ მუსიკა, რომლი-  
თაც ასე უხედა ჩვენი ხალხი.

ეს შემხობრება კარგად ჰქონდა შეგნებული რუ-  
სეთის თვითმპრობელობას, რომ ყოველის ლონს-  
ძიებით ფეხებზე სთელავდა ჩვენს ხელოვნებას, მწე-

რობას: ყოველივე იმას, რაც კი სულიერად აგვა-  
მალუბდა.

ასეთი კაცებიანები, შავ ზრახავათა მოციქულები,  
თურმე, დღესაც მრავლად ფუთფუთებენ ჩვენს სამ-  
შობლოში.

მათ ერთს გუნდს, როგორც გეითხერეს, თქლი  
ჩაუბნევი საქართველოს სახელმწიფო კონსერვა-  
ტორიაში.

ეს სულთა ბგერის „მოციქულები“, თურმე, ამბო-  
ბენ: ქართული ენა მუსიკალობას მოკლებულია, ამი-  
ტომ ქართველებმა იტალიური ენით უნდა ისწავ-  
ლან სიმღერათ.

ეს კი ნიშნავს ქართული სამუსიკო ენამეტყვე-  
ლების გაჩენვას.

ქართული ენა, ენა შოთასი, აკაცისა და არა მუ-  
სიკალური?!

ენა, „ჯერ კიდევ მეფე საფუენში საყუთარი სა-  
სიმღერო საგალობელი ნიშნების მქონე (მეტელ  
მოდრეკილისა), ენა თავისი მდიდარი ანბანით, ბგე-  
რათა მრავალგვარი გამოხატულებით, ბუნების  
ნაირფეროვანების ამსახველი, სულის ყოველი მი-  
მოხერის გამოთქმელი და არა მუსიკალური?!

ალბათ ასეთია იმათთვის, ვინც ამ ენის სიღრმე-სი-  
განე, მისი დიადობა არ უწყის.

ჩვენ ენა საზოგადო და კერძოდ მუსიკა იმდენ  
ნად თავისთავადია, ორიგინალური, რომ მას მო-  
ფლიოს მუსიკის ფარგლებში ვერ მოაქცევენ, იგი  
განცალკევებულია, საკუთრივ უნდა შესწავლებო-  
დეს, —და როცა ეს შესრულდება, მსოფლიოს მუ-  
სიკის საღარო კიდევ ერთი შტოთი გამდიდრდება.

ვინც ეს არ იცის, ვისაც არ ესმის ან არ უნდა  
შეივინოს ტბორატ განზრახვით ხელს აფარებს, რათა  
ჩაახშოს ხალხური სულის თავისებურობა, იგი არა  
თუ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზიდან,  
თვით საქართველოს მიწა-წყლიდანაც უნდა გაი-  
ცოცხოს!

**დაუფერებელი ამბავი.**

დაუფერებელია, მაგრამ მართალი კი!  
მოგვსენებათ დიქციას (ენამეტყველებას, გა-  
მითქმას) საზოგადო და კერძოდ სასახობათა თუ  
მასწავლებელთათვის, რა უდიდესი მნიშვნელობა  
აქვს.

ალბად ეს კარგად იცოდა საქართველოს განა-  
თლების მუშაკთა კავშირმა, რომ დიქციის კურსები  
დაარსა ქართველ მასწავლებელთათვის და დიქციის  
მასწავლებლად მოიწვია... ქართულის არა მცოდნე  
რუსი მსახიობი!

ნუ გეკვირთა: სინამდვილე ასეთია.

რუსი მსახიობის წინაღმდეგ არაფერი გვაქვს,  
ხილ და პატრისაც ესცემთ როგორც ხელოვნების მსა-  
ხურს და დიქციის ოსტატს, მაგრამ სად რუსული  
ენამეტყველება —სად ქართული გამოთქმის სწა-  
ვლება?!

მასხოვს, ერთხელ „კახური ლენის“ სახელით რა-  
ტენის, ვრენის თუ შამხორის ლენის ჰყიდდენ.  
„კახური“ მხოლოდ ფორმა იყო.

ნუთუ „ქართული“ და „საქართველო“ ზოგისა-  
თვის მხოლოდ ფორმაა თავის იღვშალ მიზნათათვის  
საქართველოს მუშა-მშობრის?!

იოსებ იმედშვილი.



**სახალხო თეატრი**

სახალხო თეატრს ჩვენის ხალხის წინსვლაში  
განსაკუთრებული ადგილი უყავია. მისი აკვანი ხალხ-  
მა არწია და ავტო გამოზარდა კიდევ.

თუ ერთის მხრივ მეტის ყურადღებით ეყარო-  
ბოდენ „დღე თეატრს“, მეორეს მხრივ სრულიად  
მივიწყებული იყო ის პატარა გამოქევაული, სადაც  
ხალხის გათვითცნობიერების აკვანი ირწყვოდა.

მაგრამ წარსულით სახელოვანია, აწყუთით შეუ-  
დრეკელი, მომავლით ძლიერი ყოველივე, რომლის  
მშობელი, დამცველი და აღზრდელი ხალხია.

კიდევ ეს არის, რომ სახალხო თეატრს მარა-  
დისობა აშუშენებს და საყველთაოა.

სახალხო თეატრს დიდი მიზანი აქვს დასახე-  
ლი. აქ ანთებულნი წმინდა ლამპარი ცხოველყო-  
ფელს შუქს უნდა ჰუენდეს თავის მოთაფვანე მო-  
ცველებს: გონებით ასხეტაკედეს, სულით ამაღლებ-  
დეს, გრძნობას უნაზებდეს.

ამ ტაძრის საკუთრებეველს უნდა ემსახურებო-  
დეს კეშმარიტი და ფაქიზი მსახური. იგი დაწარე-  
ბული უნდა იყოს არა-მკითხე „ქუერუმებისაგან“, მის  
მირონს უნდა აკურებდეს თვით მირონცხებული.


ჩვენ მუხლს ვიკრით ხელოვნების რეალურ შე-  
მოქმედების, ჩვენთვის გასაგებ ფორმაში შესკოვი-  
ლის წინაშე.

ჩვენ გვესაჭიროვება თეატრი სერიოზული, ახ-  
რი თავის შესაფერე ფერადებით აკინძული, თეატრი  
არა წუთებით ამაღლებეული, ფრაზეოლოგიანზე აშე-  
ნებელი, არამედ ტაძარი სამლოცველო, სადაც სუ-  
ლი, გული, გრძნობა, აღფრთოვნება თუ სევედა იხი-  
ლავს მორტყვილ მესაღელმულს, უნაწარო გამწვრი-  
ნელს, რომელც ღრმა კვალს გაავლებს ჩვენს არ-  
სებას.

ხალხის მოსიყვარულე მხატვარი, დრამატურ-  
გი, მუსიკოსი, მწერალი, მსახიობი, მოქანდაკე ამ თე-  
ატრის საბოლოოდ უნდა შეიმოსოს და ხალხთან  
ერთად განიცადოს თვისი შემოქმედი.

სახალხო თეატრის მსახიობნი კიდევ შეჯგუფ-  
დენ წმენერე თიველად დიადი საქმის გასაფურჩ-  
ქნელად, ზემით მიიღეს დროშა ხალხური თეატრი-  
სა და დღეს-კი ხელისუფლების ელია სთანადო  
მფარველობა გაუწყოს მათ და სახალხო თეატრს.

აჩრდილი.



# კოტე მესხის სსოვნას

## მოგონება

მისის 15, ძველის სტილით, შესრულდა ათი წელიწადი, რაც დავჯარგე საუკუნოთ ჩემი ძმა კოტე, ჩემი მეგობარი, ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, ჩემი ყველაფერი... ცრემლები მახრჩობს, ვერ დავიმორჩილე გონება...

რა მწვავეა ჩემთვის ყოველ წელიწადს 15 მაისი, როდესაც ბუნება ყველაფრად მშვენივს, ყველა მცენარე და სულდგმული ხარობს, ლაღობს, ყველას სიცოცხლე, მზიარულება ემჩნევა და ის კი აღარ არის...

ასე იყო იმ დღესაც—ამ ათი წლის წინად.

## სიკვდილი.

მძიმე ავადმყოფს, დღე და ღამ არ ვშორდებოდი, მასთან ვიყავით განუშორებლად მე და დათიკო.

იმ კვირის ნომერი „თეატრი და ცხოვრება“ მოიტანეს, სადაც იბეჭდებოდა კოტეს ნათარგმნი „მეფე ურიათა“. მძიმედ სუნთქავდა, მუდამ წყალს თხოულობდა... შეხედა ჟურნალს და მითხრა:

— აბა, აიღე და წამიკითხე ხმა-მაღლა ჩემი თარგმანი!

ისედაც შეწუხებული, ავლელი მეტად. ვუქიკრობდი, ვერ წავიკითხავ მის სასიამოდ და ვიი თუ შესწუხებს მეთქი.

თავი შევიმაგრე და დავიწყე კითხვა. კარგათ წაუკითხე... როდესაც გავათავე, გაიღმა და მკითხა:

- მოგწონს?
- მშვენივრობაა, ძალიან კარგია.
- ოხ, რა დროს გავხედი ავად—მადე, ჩქარა უნდა ავდე და გავათავო... მომეცი ქიქა... წყალი. ადგე, ხველა დააწყებინა... იმ დღეს ოთხი ექიმი ერთად მოვიდა კოტეს სანახავად. გარს უვლიდნენ საწოლს და სათითაოდ სინჯავდნენ მეტად მისუსტებულს ავადმყოფს. ექიმმა შალვა მიქელაძემ მიმართა კოტეს:

— კოტე, გენაცვალე, ხედავ, როგორ გარს გველებით ყველანი... ყოჩაღად იყავ, შენ არას გავიქვივრებო!—

თვალს არ ვაშორებდი კოტეს სახეს... გაიღმა და მძიმეთ ამოხეხენწა.

ეს იყო 14 მაისს. მთელი ეს დღე და ღამე მოუსვენრად გაატარა—ერთ წამსაც არ დაუძინა...

გათენდა 15. მაისი, ნათელი, მზიარული დღე, მაგრამ ჩემთვის ბნელი და საავაჯაბო.

ამ დილით, ჩემს დაუშმარებლად, მარჯვეთ წამოჯდა საწოლზე გულმოსული, თვალზე გაბრწყინებული, თითქოს უჩინარი მტერთან შესაბრძოლებლად წამოიჭრა და დამიძმა გამაწყრალი ხმით:

- წყალი, ჩქარა!
- მაშინვე მიუტანე ბაგესთან ქიქა:
- მე მომეცი, თითონ დაღლე!

გამომართვა, მიიტანა პირთან. თავი გადასწია და გადაჰქანდა საწოლზე... ხელი მივაშველე, მიმტო დავიწვენა ჩემს მკლავზე და გათავდა...

რა საშინელია... რა საშინელია ის უქანასქენელი მომავლედის გამოხედვა! ერთი წუთის წინ ბრწყინვალე, შავი დიდბრძოლი, კვიანინ თვალები ერთბაშად ჩაჰქრენ, დაჰკარგეს ბრწყინვალეობა, თითქოს მინანქრად გადაიქცენ და გაგანთერებული ერთ წერტილზე შენგრდენ.

არ შეიძლება არას გზით ამ უქანასქენელ გამოხედვის დაფიქვება...

დათიკომ მომამორა მე მას და სამუდამოთ დაუხუტა კოტეს თვალები...

## ათი წლის თავზე.

ათი წელიწადი მას შემდეგ, ჩემო ძვირფასად მოსაგონარო ძმო. შენი საფლავი დადევნიდა ყველას... უბრალო ლოდოც კი არ დავადგეს, რომ უკვლოდ არ გამტარალიყარ შენი საუკუნოთ განსასვენებელი ალაკი.

შენი ქანდაკება ახალ თეატრს, ახალ მსახიობთა დასაცინრად, საღლაე მტერთან კუნტულშია მიგდებულე, ნახევრად დამტვრეულე, გატუქვიანებული.

ხან ერთი ახალგაზრდა მსახიობი ჩამოგაუხებტავს თავის ქუდს და ხან მეორე, უღვაშუნს გინატავს თაბაშორტს...

შენი სურათიც არასდა სჩანს იმ ვალერეიაში, სადაც სხვა მსახიობთა სურათებს პირველი ადგილი უჭირავს...

დღე, ეგრე იყო... შენ განისვენე მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, მრავალ კირ. ვარამის მნახველო, დატანჯულე ძმავ... შენი საფლავი ჩემს გულშია განუშორებლად.

და სანამ ჩემს უძლურ სხეულში უძლური სული კიდევ ვფთავებს, ვერ დავიფიქვებ.

## ვერ დავიფიქვებ.

ჩემი ხარ, ჩემი ხარ სრულად... ვერ ვინ წამართმევს შენზე ფიქრებს... შენზე ოცნებებს, ყოველ წერილმანის მოგონებებს... განუშორებლად ჩემი გონება შენთან არის მუდამ, მუდამ... სიხმარო... ცხადათ.

დილის რიყარებზე, როდესაც ცის კაბადონზე განთიადი ვარდის ფრად ვაწვება, როდესაც მზის პირველი სხივი შენა მივიწყებულ საფლავს ოქროს ფრად დაცემა, როდესაც იქვე ამოსულ ეკალ-ბუჩქებზე ღამის ცვარი, მაიცოცხლებელი ცრემლებით გაბრწყინდებიან მზის სხივებისაგან, იმ დროსაც მე შენთანა ვარ და ჩემი ცრემლებიც ბრწყინანვენ მზეზე.

ღამით, როდესაც ვარემოს მყუდროება მეფლობს... როდესაც ცას მოსქედავს მოკიანთ ვარსკვლავთა გროვა და ბრწყინვალეობით ერთი მეორეს ეჯობებთან, როდესაც საყენ მთავრე ვერცხლებრიე დაანათებს შენს მივიწყებულ საფლავის ბუჩქებს...

როდესაც ახლოს, შენს საფლავთან, გულ-საკლავის ხმით ბულბული დატვრის, იმ დროსაც მე შენთანა ვარ და ცრემლებით ვრწყავ შენს სამუდამო განსასვენებელ ლავს. ვერ დაგვიწყებ იმატომ, რომ შენ იყავი ჩარხი ჩემის სინარულისა... შენ იყავი კავშირი ჩემის სიცოცხლისა.

ფ. მესხი.



# მობონება

დიდმა ხანმა ვანგლო მას აქეთ.

მახსოვს საღამო იყო. ჩვენი ჯერ კიდევ ვსადილობდით, როცა მეზობლის ქალმა შემოიბრინა და გვეცნობა: «ქართული თეატრი იწყის...» არ ვიცი რა დამემართა, მაგრამ გულში რაღაც უცნაურმა გრძნობამ გამიელვა. ვეცი ქუღს და გავეჭანე იქით-კენ, სადაც იწოდა ძველი ტაძარი.

მივედი. იმ წუთს ერთადერთი სურვილი მქონდა: მეშოვა ისეთი ადგილი, საიდანაც კარგად დაეინახებოდა ჩემთვის დიადი სანახაობა.

თამაშშივის ქარავასის მეორე სართულში ერთ ერთ ფანჯარას ავეყუდი და ვეფიქრობდი: აი, ეს უღობიერი ალი, რომელიც გარს ევლებს ძველ ტაძარსა.

ნეტა რა უნდა? ნეტა ბოლომდინ მიიყვას თავის განზრახვას, თუ ადამიანი თვისი ბრძოლით დაამარცხებს მას, დააშოშვინებს?... მაგრამ არა! არა! ცეცხლი შეფთობდა უფრო და უფრო! მან შეიპყრო დიდი არე! ავერა, ალსა სპრის წყალი! ყოველ მხრივ მოსიანს წყალი! წყალი და ცეცხლის ალი ებრძვიან ერთმანეთს! წყალი ხომ ძლიერია... ჩუ!.. რა მესმის?! საშინელი ქექა-ქუხილი! რაღაც ჩატყდა, ჩაიმტვრა ლიდის ცხენსია!

ვილაც აქვითინდა...

ცეცხლის გრიგალმა შემოურბინა თეატრის გულს, გადასწო სცენა და იფეთქა ზეცისკენ. ზეცის უგზავნის მილიარდ ნაპერწკლებს და ყოველივე მათგანში სულის ნაწილს სველ თეატრისას.

გმადლობ შენ დიადი სულო, რომელმაც ალგვზარდვ კველა ქართველი!

საათის ათი იქნებოდა, როცა შინსიკენ გავემგზავრე, დარწმუნებული იმაში, რომ ქართული ძველი თეატრი დანგრეა.



დილის საათის ექვსზე ვანელიცა, გამახსენდა წუხანდელი კატასტროფა,—კვლავ ფიქრებმა წარმიტაცეს... ავიღე ქუდი და ისევ დამწვარი თეატრისკენ ვაგსწიე, რათა დავრწმუნებულიყავი, ჩემის თვალით მენახა, თუ რას წარმოადგენს დღეს ქართული თეატრი.

მივედი. თვალწინ გადამეშალა ასეთი სურათი: ნანგრევები ძველი ტაძარის. მხოლოდ კედლები და დარბინილიყო. სცენა და მაყურებელთა დარბაზი სრულიად ჩანგრეულიყო. ზვიდან ქვეით, ყოველის მხრიდან გადახალართული რკინის ძელები ჩამოწო-

ლილიყვნენ. აქა-იქ ჯერ კიდევ ბოლი ამოდიოდა აგურების გროვიდან. ვარშემო არავინ იყო. იყო ობლად მიტოვებული ძველი ტაძარი ნანგრევებში. მხოლოდ ერთი ადამიანი, აგრედვე ობლად, დაიარგოდა კუთხიდან კუთხეში და ცხარეს ცრემლითა სტიროდა. თითქოს ამ ნანგრევებში ჩაუმარბახვო რაღაც დაუფიწყარი, რაღაც მეტად ძვირფასი...

ასე დასტილიდა თავის საყვარელ თეატრს ჩვენი დიადი მამო, მე შევცქეროდი რაღაცა უცნაურ გრძნობით შეპყრობილი,—მინდოდა მის ფეხთ ნაწლასთვის მეამბოვნა, ჩამეკრა იგი გულში და მენუსებეშებინა:

— ჩვენი დილო, ლამაზო მამო! ნუ სწუხხარ მეთქი, ნუ სტირი! ეს ხომ მხოლოდ ბოლოა წარსულის და რიგრაივი კი ახალი ხანის. ავერა, ახალ მსახიობთა თაობა შენ გიმზერს, შენ წინ მუხლ-მოყრილი ელის შენს კურთხევას, დალოცე! უსურვე ძალი და ღონე მხნით გაიტანო ეს ეკლანი გზა. ნუ ჩაუტრობა ხელში დამმარბი, ნუ დაუფარდებია ხელიდან ღრეშა. უანდერძე მათ შენი დიადი სიყვარულის ალი, შენს გულში რომ ჰქვიდეს.

მაკი სტიროდა... ჩემი გული კი სასვე იყო სისხარულითა,—რაჭოშო!..

იქნებ იმატომ, რომ მომავალს ვუცქერდი და ბურუსით მოცულ სივრცეში ოდნავ ვარჩევდი შორიშნის სიხვიებს?

იქნებ ეს სიხვიები მხოლოდ და მხოლოდ ჩემი იმედებია, ჩემი ოცნება და სხვა არაფერი? არა და არა! მე მრწამს მომავალი! ქართული თეატრი ისევ იქნება ნათელმოსილი, ბრწყინვალე!

შინსიკენ გავემგზავრე. გზაში შემხვედენ მეგობრები. ვმსჯელობდით: იქ ვეღარ აშენდებაო ქართული თეატრი, იგი უნდა ყოველ მხრით აქმაყოფილებდეს დღევანდელ დროის ტუნჩიკურ მოთხოვნილებებს. იგი უნდა იყოს ქალაქის შუა გულშიო, ისეთ ადგილას და ისეთი უნდა აშენდეს, რომ ქართველ ერს ჰქონდეს მუდმივი თეატრი დედაქალაქში. აი, მაგალითად, სადაც იყო ძველი ცირკო—ის ადგილი მაინც მოგვეცენ და საშუალებაც აშენებისა. რა ბედი ეწვეოდა ჩვენს ერს ამით მაინცაო!

ასე ვოცნებობდით ჩვენ, ბავშვები. სინამდვილით კი, არასდეს ჩანდა თავმსაფარი ქართველ მსახიობთათვის, სანამდისინ განგებამ არ უშველა ქართველ ერს...

და, აი, უკვე არსებობს ქართული თეატრი, მშვენიერ შენობით შემკობილი.

მისი სული?... იგი უკვე ჩასახულია, და ამ ნორჩ დიად საქმეს უნდა მზე, სიყვარული, ფაქიზი, წმინდა მოპყრობა.

უნდა შეიქმნას ერთსულიანი მტკიცე ოჯახი, რომ თეატრი, აქამდის შემორჩილი პროტექციით, ხათრით, ერთი მტროვსთან დამოკიდებულებით,—განთავისუფლდეს!

მასში ვაჯლის მძლავრ ფრთებს ნიჭიერება და უძღვნის სისხარულს ქართველ ერის გულს.

ანტონინა აბელიშვილი.

# ქართული ლიტერატურა

„კავკასიონი“ № 3-4.

(მკითხველის შენიშვნები).

„კავკასიონი“-ს მორიგი ნომრები კულტურული შემოქმედების ახალი ნიმუშია, ლამაზი ფორმით, მდიდარი შინაარსით. მისი რედაქტორის შესახებ უაღვილო არ იქნება ფრანგული თქმულება: აქ სრულად ხელოვანი.

პერიოდულ გამოცემის მკითხველს, რასაკვირველია, არ შეუძლიან სათანადოდ შეაფასოს ყველა ის მრავალფეროვანი მასალები, რომელიც იქ მოთავსებულია. მაგრამ თუ ის დაკვირვებით ეცნობა მასალას, არსებობს ერთი სახშირი, რომელიც დასკვნას აადვილებს. შინაარსთან გაეცნობის შემდეგ მან უნდა იგრძნოს, რომ ის კულტურულად გაიზარდა, ახალი იდეებით და სახეებით შეითვისა, გონება გაუზიარდა და მისი არსებაც შემოქმედების წყაროს ეზიარა. თუ ასეთი შედეგი არ მიიღო მომზადებულმა მკითხველმა, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ორი სახის: ან მასალა მეტად ბუნდოვანად არის გადმოცემული, ამასთან შეიძლება ის იყოს სპეციალური ხასიათის, ან თვით ნაწარმოები იმდენად სუსტია, რომ მისი გავლენით მგრძობიარე მოლექსები ვერ აუთონამაშდენ მკითხველს და ის ამ ნაწარმოებს უგემურად და მიუგანჯურად ითვისებს. „კავკასიონი“-ს შესახებ ითქვამს, რომ ის კულტურული მკითხველის გაგების დონის საესტეით აკმაყოფილებს. ზოგიერთი წერილების გამოკლებით. რაც შეეხება მის შინაარსს, ყურბალი შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების და საერთოდ ქართული კულტურის მკერნეტყველ ლექტორად.

მკითხველი მხატვრული ნაწილით ერთობ ხალისდება, რადგანაც ეს ნაწილი, პოეტის შეცვლილი თქმით:

„ქარია მძაფრი, ფრთათა შრიალს  
ესერის მზის თვალესს,  
და უხარბა, როს გაშლიან  
ელგები აღებს.

რაც შეეხება სხვა ნაწილებს: კრიტიკა, სახეითი ხელოვნება, ფილოსოფია-მეცნიერება, მემუარები და სხ. — აქ მკითხველი ეცნობა მისი ქვეყნის და უცხოეთის გონების ნაყოფს. ამის წყალობით ის ხდება საქართველოს შეგნებული მოქალაქე, რაც წარმოუდგენელია საერთაშორისო და, განსაკუთრებით საქართველოს ადრინდელ და დღევანდელ კულტურის შეთვისების გარეშე.

მორიგ ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია ე. კოტეტიშვილის მოკლე წერილი ივანე მანაბელზე, ვანო მანაბელი — ეს დიდი და უსათუოდ ლამაზი, მებრძოლი და ქედ-მოუზნებელი ადამიანი, უდროოდ დაეკარგა საქართველოს. „ქართველი საზოგადოება დღესაც ეძებს ამ უკვალო გაჭოლის კვალს, მაგრამ პაპასუზოდ იზრდება დიდი ამოცანა, რომელიც ალბად ვერასდროს ვერ იპოვნის საბოლოო ახსნასო“, სწერს ავტორი, რომელსაც ეტყობა, მანაბელი არა ნაკლებ უყვარს ვიდრე ყაზბეგი. მასთან ერთად საქართველოს მთელი რადიკალური ინტელიგენციასაც უყვარს უცბად გამჭრალი რიანდი. მაგრამ თუ მანაბელი დაიკარგა, მისი ნაწერები ხომ დარჩა? ნუ თუ არ შეიძლება მოხერხდეს მათი სრული გამოცემა?

ამ ნაიარადვე უნდა მოექცენ ნ. ნიკოლაძის ნაწერებსაც, რომელიც იწყებს თავის მოგონებების

## საზრანგეთის მხარეობა შარლ გოდლერი.

უცხოელი.

„— მითხარი, გამოუტყონად ადამიანო: ვინ გიყვარს შენ? შენი მამა, დედა, შენი და თუ ძმა? — მე არა მყავს არც მამა, არც დედა, არც და, არც ძმა. — მეგობრები? — თქვენ აქ ისეთი სიტყვა იხმარეთ, რომლის მნიშვნელობა ჩემთვის დღევანდლამდე უცნობი რჩება. — შენი სამშობლო? — მე რა ვიცი, რომელ გეოგრაფიულ სივრცეზე მდებარეობს იგი. — მშენიერება? — დიხაც შეყვარებოდა ის, ლეთაებრივი და უპედავი. — ოქრო? — მე ის მძულს, როგორც თქვენ ღმერთი გძულთ. — მამ რალა გიყვარს შენ, არაზივიულებრივ უცხოელს?

— მე მიყვარს ღრუბლები... ღრუბლები... იქ შორს მიმავალი... მეოცნებე ღრუბლები!..“

ითრობოდეთ.

უნდა ყოველთვის მთერალი იყო. ამაშია ყველაფერი: ესაა ერთადერთი მიზეზი. რომ არ იგრძნოთ საშინელი ტვირთი დროისა, რომელიც ასე ულმობლად გაწევებათ მხრებზე და გზრით მიწისაკენ, — უნდა ითრობოდეთ განუწყვეტლივ.

მაგრამ რით? ღვინით, პოეზიით, ან სათნოებით. — როგორც გვენებოთ. ოღონდ კი ითრობოდეთ.

და თუ ოდესმე, სასახლის კიბეზე, მწვანე ბალახით დაფარულ თხრილში თქვენი ოთახის მძიმე სიმარტყევი თქვენ გამოგედვძოთ და იგრძნოთ, რომ სიმთვრალემ იკლო ან გაგირათა, — ჰკითხეთ ქარს. ჰკითხეთ ტალღას, ან ვარსკვლავს, ან ჩიტს, ან კედლის დიდ საათს, ჰკითხეთ ყველაფერს, რაც კი მიჰქრის, რაც კენვისს, ყველაფერს,

გამოქვეყნებას. წარსულ პოლიტიკური ბრძოლის დროს ნ. ნიკოლაძე და მისი მოწინააღმდეგეები ერთმანეთს სასტრუქად ექცეოდნენ. მაგრამ ეს ხანა დღეს ისტორიას ეკუთვნის და ამისთვის არავინ დაიძრება. ხომ ფაქტია, რომ ი. კეკელიძის „ივერიაში“ ივ. მაიაბლის დეკარგვის გამო და შემდეგაც ერთი ქრონიკის მეტი არაფერია არ დასწერა“ (კეკელიძის, გვ. 202). ასეთი ყოფილა პოლიტიკური ბრძოლის ლოიკა განსაკუთრებულ ხანაში. ნ. ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ევროპულ კულტურაზე აღზრდილი. ამავდროს არ უნდა დაივიწყოთ, რომ ის იყო ცნობილი რუსეთის მესამეც წლიანების თანამოქალაქე. თავის მოგონებებს ავტორი იწვევს იმ მოძრაობით, რომელსაც სამოცი წლის უწინ ჰქონდა ადგილი რუსეთის ინტელიგენციის შორის და რომლის მონაწილე ქართველების მცირე ჯგუფიც იყო. მაშინდელ დროში ეს დიდი პოლიტიკური აქტი იყო. დღეს კი ასეთი რამე ვის გაუყვირდება; როდესაც საქართველოს რომელიმე სოფელში ავით თუ კარგად გლეხები საუბრობენ მაკონანაღლებზე, ჰუნკარზედ, მესამე და სამ-ნახევარ ინტერნაციონალზედაც...

უნდა ავღნიშნოთ ყურანალის ზოგიერთი ნაკლე. მაგ. ავტორების მიერ უცხო სიტყვების უთავბოლო ხმარება. ერთი ავტორი სწერს: „ეპოსი და ტრაგედია ინფერანალია და კათოლიკური განსაწმენდელი, ლირია სსუფველია“ და სხ. (გვ. 206). ფორმის მხრივ ეს გამართება ლამაზია, მაგრამ წუთუ არ შეიძლებაო ავტორის ინფერანალის მაგიერ ეხმარა სიტყვა—ჯოჯოხეთი? მეორე ავტორი სწერს „საფრანგეთი, რომელიც რევოლუციის კერა იყო მე 18 საუკუნეში, დღეს ანსიან რეჟიმის“ ციხე-

სიმაგრედაა გადაქცეული“ (გვ. 209). „ანსიან რეჟიმი“ ნიშნავს ძველ რეჟიმს. არსებითად ამ დებულებაში ორიოდ ფაქტობრივ შეცდომაა: 1) საფრანგეთი რევოლუციის კერა იყო არა მართო მე-18 საუკუნეში. 2) ძველი რეჟიმის ატრიბუტები დღეს ახსიათებენ არა იმდენად საფრანგეთს, რამდენადაც გერმანიას, კერძოდ ბავარიას— მისი ლიუდენბურგებით და ფონ-ვეგენებით. საერთოდ ზემოხსენებულ ავტორს ძლიერ უყვარს უცხო სიტყვებით ჩვენი ენის გამდიდრება: ეკოლ, საკარლური და სხ. უცხო სიტყვების ხმარებას ხშირად ისეთი ხასიათი აქვს, რომ თითქოს ამით სუსი მკითხველზედ განსაკუთრებული ვაგლენა მოახდინონ. მაგრამ ხომ გვახსოვს ტოლსტოის სიტყვები: ანდრეევის მიძინა; მაგარი სიტყვებით ვერ შევავსებთ. ეს იყო თქმული მსოფლიო იმამების დიდი რევოლუციამდის. დღეს კი მოქალაქეს სიტყვების კი არა დეკრეტების წაკითხვისაც არ ეშინია. მას არ აფიქრებს შემოდგომის ფოთლები შრიალი.

ჩვენის აზრით, ქრონიკაც არ არის კარგად შერჩეული. ამასთან ზოგიერთ შეცდომებსაც აქვს ადგილი, განსაკუთრებით უცხო მკვირის ლიტერატურის შესახებ. ეს აიხსნება უსათუოდ იმით, რომ ევროპის ყურანალ-გაზეთობას პირდაპირ ეკრ შოულობს რედაქცია და ცნობების მიღებას მესამე ხელიდან უნდა დაკმაყოფილდეს.

ბიკ. თევზაია.



რაც კი მოძრაობს, ყველაფერს, რაც ვალობს და მღერის, ყველაფერს, რაც კი ლაპარაკობს,— ჰქონთ: რა დროა; და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტ, საათი,— ყველა გიპასუხებთ: „დროა“

დათრობის! ითრობოდეთ, რომ ვახდეთ დროების წამებული მონები; ითრობოდეთ განუწყვეტლივ: დღინით, პოეზიით, ან საინოებით.— როგორც გინებოთ.“

ფრანგული გ. რელი.

### სამეოგლოდან...\*)

ზარია ერთ სურათად.

#### მოკმეძენი პირნი:

**სვიმონ ლეონიდციევი**, სტატსკი სოვეტნიკი.  
**ლევან ხიმშიაშვილი**, ამის თანამეწე.  
 (სცხა წარმოადგნს სტატსკი სოვეტნიკის კაბინეტს).  
**სვიმონ** (ხის მადიდანთან და სწერს. შემოდის ლეონი—ჩახველებს, შეხედავს სთავალებს ზემოდამ). ააა!. ეს შენა ხარ, ლევან?  
**ლევან**. Кайже-чъ, მე ვარ, მე.  
**სვიმონ**. იმიტომ დავიბარე აქა, რომ შევბატონბინო— ბერი ვეცადე და როგორც ეჩნა ჩვენს ლენორალს გამოვსთხოვე შენი დინიშენა ჩემს თანამეწედლ...

\*) გვირ არსად დაბეჭდილი. ძიგლია ცენზურამ არ გაუშვა. დაწერილი უნდა იყოს 1912—1913 წ. ინტელენა სრულიად უცვლელიად.

**ლევან**. მერის-ს ძალიანი!  
**სვიმონ**. მამო მიდი და კარგათ გამოიგონე.. აი აქ... ამ მადიდაზე სწულდა ყოველივე... აქ შემოდის ჩვენი დენერალი და მიკარნახებს სხვადასხვა ცირკულიარებს! აქედან ბევრჯერ დალუპულა ჩვენი ხალხი. აქ დაწერილა „საქართველოს ღირსების და არსებობის ასახდელი კანონები. აქედან ბერი ვასაკიბო მისდგომია ხალხს „აზიახეტლნი პასკარნახლენიბით“. საღამომით კი აქ შევიყობო ხოლმე თავის და ვთამაშობთ ვინტს,— ვინტს მოკტყება ვახშინი, ვახშამს ტოლუმბაშობა და ვიძიებთ: „საქართველო ჩვენი, ტურფად განჩარეია“. ი. მეორე დილას-კი მიზიხველებს ვეყვირით:





წინდრო ეული.

პროლეტარული მკოსანი, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის (რაბიის) თავმჯდომარე, წევრი მთავარ სახელოვნო კომიტეტის და საქართველოს პროლეტკულტის პრეზიდენტისა, ქართულად გამოცემულია მისი ლექსთა კრებულები „რევოლიუციის საყვირი“, „ქარხნის ტრიუმფი“, — რუსულად: «Нарат» (ქართ. ლექს. თარგმანი).

# „სად არის“ საკაპოს სავლაკი?

ნეტავ თუ მიაგნებს კიდევ ვინმე, სად არის დაკარგებული მშობელი ერის მოხარე წინასწარმეტყველი აკაკი?

მთაწმინდის კალთა, მამადიეთის კედელსა და აკაკის ნეშტს განისვენებს, იფუნქცია; სამარეს ღორი ჰსილავს: ცოტა ხნის დასულ მთლად წაინაშება.

ნუ თუ იმოდენ მოვალეობის გრძნობას მაინც ვერ გამოვიჩინებ, რაოდენსაც უბრალო გლეხი იჩენს თავისი მამის მიმართ—სამარეს რომ ძეგლით შეუმკობს, მოაჯირს შემოავლებს ან ქეპს დაადებს.

და მთელი ერის მამის განა ასე მივიწყება შეგ ფერის?

თუ მის ნაწარმოებთ ვინმე დაეპატრონა და ერთ პრემისსაც არ გაიმეტებს, რომ ამით შევეშკოთ სამარე, ნუ თუ აკაკის იმდენი პატივისმცემელი აღარაივს გამოუჩნდება, წელიწადი გამოიღოს თავისი სახელოვანი მოციქულ-მომღერის სამარის გასაპატიონებლად.

საკაპო სასულ უბრალო: რამდენიმე არშინი კედელი, რათა ღორის დენა შეიმაგროს, სამარე განშენიერდეს და აღაღმით (ბიჭუტე) შეიმკოს.

საკაპოა დროით მივხედით ამ საქმეს, თორემ იქნება შემდეგმა თაბამ ამოკაცნოს:

აკაკის საფლავს ვეძებდი  
„ვერ ვახებ—დაკარგულიყო.  
გულაშისკენილი ვსტიროდი,  
სადა ხარ ჩემო სულიყო?“

### იოსებ არმათიელი.

„რის საქართველო, რომელი საქართველო... სიკვდილი მტერთა“!! და შიშის ზარით თავდაცემული მთხოვნელები გარბოდნენ, მაგრამ რას გარბოდნენ!! შენც, ჩემო ლევან ხიმშიაშვილოვ, თუ სამსახური გინდა, ასე უნდა მოიქცე! ლიბერალიზმა, სოციალ დემოკრატობა, ფედერალისტობა შეიძლება სუფრაზე და კანცელარიაში კი მუშეტი მზათ უნდა გქონდეს მთხოვნელის კბრლების ჩასაღწეად!!

**ლევან.** ამინ!!  
**სვიმონ.** როგორც ვითხარ, ლევან, ჩვენი ღირსება ჩვენ უნდა დავიცვათ, გავამაგროთ! ყველა ჩვენი დანარჩენი მოხელენი შენ გეაარება... შენ იქნები მათი უფროსი, წინამძღოლი. ვასწი, ლევან, წინ გაუფხვ იმათ... შენ დანოსების წერა ასწავლე, მე ქრთამების აღებას ვასწავლე!!

**ლევან.** შენი ნება იყოს, დამლოცე!!  
**სვიმონ.** კარგი... სადა გაქვს კალამი?!  
**ლევან.** ყურში გარკობილი მქონდა. ქარმა გააფრინა!!

**სვიმონ.** მაშ აი ქალამი! (გულშემატვნი) ოპ, ღმერთებო!!  
**ლევან.** რა არის?..

**სვიმონ.** ეს ხელი?!

**ლევან.** მერე რა?!

**სვიმონ.** წითელი მელნით სად გაისვარე..

**ლევან.** ამ დილით ზაპისკა დავსწერე...

**სვიმონ.** ამ დილით... აქ.. ზაპისკა... წითელი მელნითამ დილით ჩემ კოლთან... შენა ყოველხარ, შენ!! ოჯახ-დაქცეული!! (ძებნა ჯიბეში).

**ლევან.** არ მესმის!!

**სვიმონ.** ამ დილით, წითელის მელნით... ზაპისკა... ააპ... გაიგონე (კითხულობს): „ჩემო ქეთუშა, ამაღ შენი გამოყვეჩენებულ ბებერი დილის ოთხს საათამდე ვინტს ითამაშებს და ჩვენ კი ანონაში ვივასშოთ, ატლენი კაბინეთში, და მერე“... რამდენიმე წერტილი... და მერე რა??

**ლევან.** მე რა ვიცო!

**სვიმონ.** მოიცა, მოიცა—კიდევ ლექსია: „ქეთუშა, დუშუა“, შენი ლევეშუა“. შენ ყოველხარ, შენ ლევან, ლევეშუა—დუშუა... ახლავე მოგვალე! (უჯარიღად რეველტერს ამოიღებს და მიუმიზნებს).

**ლევან.** მართლა გატენრილი არ იყოს!

**სვიმონ.** (ჩაუბერავს სულს არა, ცარიელია!

# ვასტანგ მჭედლიშვილი

(1884—1924 წ.—19 V)



ილია პეტ. ნაკაშიძე.

იწერალი და საზოგადო მოღვაწე, გარდაცვლენი. დან წლის თავის შესრულების გამო. დაწერილებით შემდეგ ნომერში.

დღეს, როდესაც ხელოვნება თავის სამეფოში ბრწყინვალე მომავლის ნიშნებს იძლევა, ცხოვრებას ახალისებს, აღამაზებს და ჩვენი მსგეურნიც ამ სარბიელზე საუკუნით მიძინებულ მიქლამუღო ნიქს თავისუფლად ამზეუტებენ, რომ თავიცი წვლილიც თამამად მიტანონ კულტურის სამსხვერპლოზე, არ ჩამორჩნენ მსოფლიო ოჯახს,—აი, სწორედ ამ დროს განახლებული ქართული თეატრი ჰკარგავს თავის ერთ საუკეთესო მესაიდუმლეს, თავგანწირულ ქირისუფალს.

მოსკოვში მისის 19 გარდაცვალება ვახტანგ მჭედლიშვილი.

ვ. მჭედლიშვილი ერთი თვალსაზრის რეჟისორ-თავანი იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრისა და დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამახუბრებული რუსეთის დიდ ქალაქების. რევოლუციის ხანაში იგი გატაცებული იყო ახალი შემოქმედების ძიებით. თავდავიწყებით და დაუღალავი ენერჯით მისწრაფოდა ამ გზით,—ამ ჯერად—კი მხოლოდ ქართული თეატრის საკეთილდღეოდ.

მიუხედავად იმისა, რომ მას შარშან მოსკოვის პ. თეატრში იწვევდნენ რეჟისორად, სადაც საზოგადოება უკეთ იცნობდა, დიდა ხნის მუშაობას იყო ზიჩეული, ნივთიერადაც უზარუნველყოფილი იქნებოდა, ვახტანგი მაინც თავის მიზნის განსახორციელებლად საქართველოსაკენ გამოეშურა. მას გააღწევილი ჰქონდა, რათაც უნდა დასჯდომოდა მოსკოვში დაეარსებინა ქართული დრ. სტუდია და შემდეგ მომზადებული დასით წამდგარიყო სამშობ-

**ლევან.** (დღისს პათოსით) მაშ მესროლე და მომაცვინე!!

**სვიმონ.** ოჰ, შე სულ-მიდაბალო, გინდა თავი შემებრალო.

**ლევან.** მესროლე, სვიმონ, მეტის მოთმენა აღარ ძალ-მიძის..

**სვიმონ.** (კალ ანს და რევოლვერს ხელიდან აგდებს) ო! საცოდავო, რა რიგ მიყვარდი! და შენ კი მილაღატე იმ ქალის გულისთვის, რომელსაც ათასჯერ უღალატენია ჩემთვის! შენ მილაღატე, შენ მეთქი, რომელიც მიყვარდი შემწეა რი გოჭივიო!! ო! ჯოჯოხეთო, მარტო სამი სარწმენი მქონდა ქვეყანაზე: ქრთამი, დანოსი და შენ,—ახლა რაღა დამრჩენია!..

**ლევან.** პაფოლუსტა მომკალი!!  
**სვიმონ.** მეგრ რა გამოოვა, რომ მოვკლა.. ხომ მეორე თანაშემწე უნდა ავიყვანო და ჩემი ცოლი ხომ იმასთანაც მილაღატებს!..

**ლევან.** მაშ რა გინდა?  
**სვიმონ.** აილე ეს კალამი!  
**ლევან.** მეგრე?  
**სვიმონ.** აილე მეთქი ეს კალამი და გასწი წინ!. და-ჯექ შენს მაგიდაზე.. დასწერე დანოსი ჩვენს

დღენაღზე, იქნება გაავადონ და მე დამნიშნონ იმის ადგილზე... გასწი და თუ შეგიტყვეს დანოსიკობა, ჩემი მონაწილეობა არ გამოამყვანო, დადუმდე ვითა სამარე.. მოკვიდ როგორც გმირი და კრინტი არ დასძრა!..

**ლევან.** Очень хорошо!!  
**სვიმონ.** მაშ წადი და მაგით ჯავრი ამოშვარე... მე თუ მილაღატე, ჩენს უფროსსაც უღალატე.. ცოლა რომ წამართვი, დენერლობა მაშოვინენი!!  
**ლევან.** მოდი ჩემო კალამო! რადგან ასეა, დანოსების წყებაში ჩენს პატიოსან სულს დაეკლევ!!  
**სვიმონ** (ლილინით) მაშ:

საქართველო ჩვენია  
ტურთად განაჩენია,  
დენერალის ორდენი  
მხრების დამაშენია!!!

ფარდა.

ქ. მესხი.



ლო თეატრის წინაშე. და, აი, შარშან შემოდგო-  
მაზე მან საძირკველი ჩაუყარა ასეთს ტაძარს მოს-  
კოვში სპირტენაცხე ე. წ. „საქართველოს კულტურის  
სახლს“-ში.

განა იცის საქართველოს ფართე საზოგადოებამ,  
თუ როგორ ძვირად უფლებად ვახტანგს—ამ პატა-  
რა კაცს, მაგრამ დიდ ხელოვანს, მუშაობა საყვარელ  
საქმის გარშემო. მისთვის საქირო იყო, საქ. 1-ლ  
დრ. სტუდიის ხუმრეტამდის ნიჭიერი სტუდიელი  
გამოეყო მეორე სტუდიისთვის. შეთანხმება ვერ ხდე-  
ბოდა, ბევრს სახიფათოდ მიაჩნდა, რომ ასეთ გა-  
ნაწილებას პირველი სტუდიის დასუსტება მოჰყვე-  
ბოდა. საქმე დათმობაზე მიდგა და აქ კი ვახტანგმა  
ექესი ნიჭიერი ახალგაზდა გამოსტყა აქ ფალავას  
სტუდიას. თავის სტუდიის გარშემო ე. შვედლიშვილმა  
თავი მოუყარა მოსკოვის საუქეთესო სახელოვან ძა-  
ლებს (მაგ. ა. სუმბათაშვილი-იუფიმი, ნემიროვიჩ-დან-  
ჩენკო, ბარათივი, პროფ. ა. გვიგელიევი, ნ. ვ. დე-  
მილოვი, წუწუნაია და სხ.) და უმაღლესად მუ-  
შაობა. მისივე თავდადებული მზრუნველობით საქ.  
მთავრობამ იკისრა სტუდიის შენობისა და შემაღ-  
გენლობის ხარჯების გაშლილა.

ამ ნაირად ერთსა და იმავე დროს ორი ქარ-  
თული დრ. სტუდია ენერგიულად აწარმოებდა მუ-  
შაობას (ორ დიდ ცენტრში), თითქმის ერთი მეორეს  
ეჯიბრებოდა და ეს კი ერთად აღებულნი საღის  
ავალსახარისით საწინდარი იყო ჩვენი ამ სეკეროში  
გამოფიხილებისა, დიდი სურვილებისა და მიღწე-  
ვებისა. ძნელი წარმოსადგენია ის აღფრთოვანება და  
გატაცება მოსკოვის სტუდიელებისა, რასაც ისინი  
ამყავდა და ხაზასმით აღინიშნავდნენ თავიანთ წე-  
რლოვში ნიჭიერს ელმძღვენების მუშაობის შესახებ\*).

\*) შემდეგ ნომერში დაიბეჭდება ე. შვედლიშვილის ბიო-  
გრაფიული დახასიათება გა—ლისი.

დიად, დაობლდა მეორე ქართული სტუდია და  
ვახტანგის ოცნებამ—ახალი მომზადებული სტუდიით  
საქართველოს განახლებული თეატრისკენ—გლოვის  
ზეწიარი გადაიფარა...

ვახტანგის დაწყებული საქმე კი მის მამახსოვ-  
რად კვლავ მოითხოვს ახალ მეთაფის... უნდა შევ-  
ძლოთ, დაობლებულემს ხელი გაუწოდოთ.

ა. ციხისთავი.

## თვალევის სტრალივარიუსი



ილიამეტრევი  
(1859—1924)

ნორა დღეისი.

ეს საუქეთესო მავალითია წმინდა ხელოვნების  
ინტერნაციონალურ ძაღსა.

დაიდება და ძამა ხელოვნების მიუღქვეყანას  
აერთებს უზიზავის ძაფებით.  
მე, ჩემდა საუბედუროდ, არ მენახა ელვონო-

მთელი ქვეყნის  
ხელოვანთა და  
უბრალო მომაც-  
ვადეთა ცრემლია-  
ნი თვალევი მიმა-  
რთულია დღეს  
შორეულ ამერი-  
კის ქ. პიტსბურგი-  
საკენ, საცა სამუ-  
დამოდ დიხუტე  
1859 წ., ოქტომ-  
ბრის 3, ფიგეფა-  
ნოს (პავიის  
პროვინციაში) ახე-  
ლილი დიდრონი,  
ძლიერის სვედით  
და ტვირთული  
თვალევი ელვონო-

## ღლევიის კანღლევი

მე და გაძარცული საქონელი.

ღლევი. სარეკელთან.  
ხედვა უფრო დაბინდული.  
ვიდრე მოგონება ზედახენზე მოგზაურობის.  
მიწის აღსარების მოლოდინში:  
როცა ვეფქობ ძმებთვის ყარაჩოლეღ ღიბზე:  
სასტუმროს პატრონი.  
დავწყვებით ერთად.  
(ეს არის ნატერა  
რომილსაც ელოდა ჩემი სხეული:  
თერამეტა წლის ღლიდინში).  
ღამე იტანს ბევრს სიხარულს და ცრემლს.  
ეს გამოვიდა ბებიაგან.  
ეს არის გამხრევება და სითამამე.  
ეხლა უფრო მეცოდინება ღამეთა სუნთქვა. და  
უფადო ფიქრის უზოგადი დასაბამი.  
ვიცილი ბედი და არ მშინებია  
როცა ღია დატეოვე ოთახის ფანჯრებში.  
ეს ხომ იქნებოდა ბოროტება!..  
ჩემგან დაგზობილი?  
(მარტო ღლევია უტყერდა მალეით ჩვენ სიხარულს.

ამაზე ვიფიქვებ გრივოლის პარიკს).  
ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ სახლის აგებაზე:  
(რადგან მოგვწყინდა ქება:  
ყვირილი და გინება,  
კრივი და ჯიბიკრებთან სეირნობა:  
წინათ უიტმანიც მიეკვლედა თბილ დემოკრატას.  
ის არ დარჩილა ქუჩაში).  
ყვეის ფერა დაფარავს ყველაფერს.  
ალბად მეც მომედება მის ღორწინ.  
შვიდი ბოძი, უფრო მაღალი ვიდრე ახედვა ცისკენ,  
კვლევი მზეად.  
აივანზე ლურჯი ხალევი:  
მოგონება დედამიწის სიყვდილის.  
კუთხეში ნამჯა მოთიბული გადამწეარ კელზე:  
ეს უფრო ესმის ჩემს სხეულს  
ვიდრე მინისტრს:  
გედის რჩეული ბუმბულის:  
(ცივი ღელტლნი.  
მე უფრო ვეფქობ ინდოეთის ძეგლებზე.  
ისინი მიაგვან ჩემ გულს: ზოგჯერ გაყინულს.  
მათი დაღვრემა არის ჩემი ფიქრი.  
მათი სიცილი არის:  
მიწის ჩუმი ირონია, რომელიც ემუტრება ყველას.

რა ლუხე, მაგრამ მუდამ ვამაყობდი მისით; ვიცოდი, რომ მან ქალს გამარჯვება არგუნა და ხელოვნებაში ერთხელ კიდევ განამტკიცა ქალის და სიყვარულის ძალა.

აი ეხლა მთელის საათობით ვუძუქერ მის მეტყველო სახეს სურათებში და ვკითხულობ მისი დიდი ინტიმობის და სულის სიმდიდრის ფურცელს. ეს ფართო, სველიანი თვალები რამდენს მეტყველებენ და მე მჯერა, რომ მართო ამ თვალებისათვის შეიძლო დიდ ხელოვანს გაბრიელ დანუნციოს თვისი უკვდავი პიესები შეექმნა. ვინ იტყვის ამის შემდეგ, რომ თვალები სულის სარკე არაა... და ყველაზე უფრო ძლიერათ ეს თვალები ამართლებენ მსახიობთ.

და განა მთელი გამარჯვება დღეის კინოს ხელოვნებისა თვალების მეტყველებას არ უნდა მიეწეროს?..

ელეონორა ლუხეს თვალები არ არის იტალიელი ქალის თვალები; იგია სარკე მარგარიტა გოტიეს, მაგლასი, ჯოკონდასი, ნორასი, კრუე ალენდის სულთა...

როგორც ვარსკვლავის გზა, ისე ნათელია ამ ქალის ნაკვალევი ნიუ იორკიდან ბერლინამდე, ბერლინიდან ლონდონამდე, ლონდონიდან ვენამდე და ლენინგრადამდე...

ევროპის ყველა გაზეთები ერთსა და იმავეს ამბობენ: თვითუფლმა მგრანობიერმა ადამიანმა რაღაც ყველაზე უფრო ინტიმური დაკარგა პიცუურგის ტრაკედიით.

მთელი ქვეყნის ხელოვნება მგლოვიარეა და არავინ აიცხ—ვისთვის იყვენ ყველაზე ახლობელი ეს თვალები, მისი მომხიბლავი ელვარება და მშვე-

ნიერი მუსიკის აკორდები, ვით ქიანური უქანაურ სტრადვიარუსისა.

დიდ ნიუს სიამაყე და ზვიადობა არ სჭირია. მზე თვით მუხომს—მის ძალის სხვა მელიდორება არ ეჭირვება: იგი მაინც გამოიწნდება სასცენბით და ასეთი იო ელ. ლუხე სიცოცხლეშიც და დღესაც..

საინტერესო ებიზოდს მოგვითხრობს მის შესახებ ცნობილი იმპრესარიო ი. შიურმანი თავის „მოგონება“ში.

ერთ დღეს ის ტურინში როსსის დასის წარმოადენას დაესწრო და განცვიფრდა, როცა ახალგაზრდა, მაშინ სრულიად უცნობი ელ. ლუხეს მატყვევებელი თამაში იხილა, მიხება რომ ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინა. შიურმანმა დაუყონებლივ მიმართა ელ ლუხეს წინადადებით—დაეტოვებია პროკინცია და ევროპა შემოეყო.

ქალი შეერთა და თავაზიანათ უარყო ეს წინადადება, მას არ სჯეროდა მაშინ კიდევ თავის ძალის, მან არჩია ისევ პროვინცია და გულდაუწყვეტილი იმპრესარიო ცალიერი დაბრუნდა უკან.

მრავალი წლების შემდეგ ერთს ახალ წლის დღეს მან მიიღო ელ. ლუხეს დეკევა: „თუ ჯერ კიდევ არ მიგოტოვებიათ თქვენი აზრი ევროპაში საგასტროლო მოგზაურობის შესახებ, მოველით დაუყონებლივ ფლორენციაში და ერთი საათის შემდეგ შიურმანი მატარებლით მიექანებოდა ფლორენციისაკენ. და უკვე მარტში სრულიად ახლობის მსახიობი თამაშობდა ამსტერდამში „მარგარიტა გოტიე“-ს.

ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი; უმეგეო, მაგრამ დაუსრულებელი ზეიმი, რომელიც შემდეგ გა-

მათი მღუმარება:

ჩუმი ხელის ნღომა.

უთვლო ცეცხლების რბნა.

გავარდნილ ცხენის შეჩერება,

და ფურთხი ყველას.

მათი მოლოდინი:

როგორც ვაჭარ ურიების უდიდლო ცქერა:

აღმოსავლეთისკენ, ზღვის ნაპირიდან.

(შეჩერება მართლაც რომ კარგია.

თუმც ამაზე არავის ეეკითხები).

ეს სამე კარგია: როგორც ძილი და სიმთვარაღე.

მე მგონია ამაზე მეტს ვერ გავიხარებ ქვეყანაზე:

გვერდზე მიწვეს მსუტანი ცოლი.

სხვას რას ინატრის ჩემი თავი?

თვალეში რომ ეცეპს პატოისნებას.

აღსარებას კი მელს.

(ეს არ არის ფილისტერობა).

ეხლა მგონია უფრო პატოისანი ვარ

ვიდრე ცოდვებ მონანიებული ჯიბგარი.

თუ არ გამოვიდა ქვეყანაზე

მეორე ნიცში,

რომელიც მიიხვლს დაქვეყნის სინდისს.

თემა დამთავრებულია და მართალი.

ვერაინ შემეკამათება.

### სპარსული მწერლობა

საადი (1184 — 1291)

ერთხელ მეგობართან \* \* \* შუადლის ჰაპანაქებაში გრილ ზეივანში სსიარობდი.

იქ დავინახე ჩრდილო მშოლიარე ბოროტ-მომქმედი. მას დამწვიდებით ტკბილად ეძინა. მეგობარს ფუხხარი:

— თუ თუ ტკბილი ძილი შეუძლიან მას, ვინც ბოროტია, სისხლისმსმელა? აი, ეს კაცი, ხალხის მტანჯველია, ბოროტმომქმედი. წუ თუ ამ ცოდვალს სინიდისი არა ჰქენჯნის, რომ ასე ტკბილად განისვენებუ?!

მეგობარმა მიპასუხა:

— ამ ცოდვილისთვის—ეს ღრმა ძილი ღმერთი მოუფლენია, რომ დროებით, ძილში მინც, მან ამ ქვეყნად კაცთა შორის ბოროტება აღარა სთესოს!..

კაიუს პელი.

დატანილ იქნა ბელოგას, გერმანიისა და ავსტრიაში... და ეს გამარჯვება მის არ დაშორებია თვის ხანგრძლივ გზაზე.

მოკრძალებამ ვერ დაფარა მზეობა ზისი თვალებისა. და ისევე ვერ დაქარაგვს მას დღესაც. სიკვდილის წინ მისი უკანასკნელი სტოგილიც ისეთივე მოკრძალებული იყო: არავითარი ცერემონიები, პროცესიები, არც ბევრი ყვავილები... და მისი მამულიშვილი, მყოფნი ამერიკაში გულდაწყვეტილი დაბრუნდნენ შინ.

მაგრამ ეს ხომ ვერ დაფარავს ხელოვანთა დიდ მწუხარებას, ცრემლი მაინც შეუშრობელია ყვავილებზე უფრო მეტეხვით.

ელეონორა დღეზე არ ეკუთვნოდა რეჟისორთა თეატრის ეპოქას— ის სტიქიური მსახიობი იყო და ხელის მიკარებას ეს სტიქია ვერ იტანდა როგორც მთის ყვავილი.

ანალოგიები გარს მებვევინა... ჩემს წინ ჩვენი მთების ყვავილები მეშლებიან: განა შესაძლო იყო ჩაღვდა მესხიშვილის ცეცხლად ანთებულ გარბობის ხალხად რეჟისორის მიერ შექმნილ ვაგება-სტილში? ამიტომ ლაღო მუდამ თვით რეჟისობობდა: თავის ვაგებობთ და ინტუიციით მართავდა პეისის სელას...

ჩვენი სცენის სიამაგე ნუცა ჩხეიძე ასეთივე უტუბი სტიქიაა: უღრმესი მფსკით ხმაში და სვედიანის უუსკრულის თვალბეით... ის დადის სცენაზე და თან დაქაქვს უღადესი მწუხარება, ლამაზი ტანჯავა და მე ფავრა, რომ დღეის რეჟისორს შეიძლება ეს დიდი ხელოვანი საქმეს ურთულებს... მი-სი თიხად ქცევა, ჩვეულ მასალათ დაყვანა შეუძლებელი და ხელთახვის შეგონება. ამიტომ ნუცა დღეის სცენისათვის ობოლია; უფრო კი დღეის

სცენა მის დიდ აჯანყებულ სულს, ვიწროდ გაზომილ ჩარჩოში ვერ იტევს.

დღეს ჩვენი უფრო რეჟისორთა თეატრებს ეიცობთ. დიდრობი, თავისუფლათ მოციმციმე ვარსკვლავები აქ არ ანათებენ.

დღეს რეჟისორთა ხელოვანი, იგი აშუქებს და აცხოველებს პეისს. იგი ასწავლის და წვრთნის ხმას, მიმიკას, თვალთა მეტყველებას, ყოველ მოძრაობას. იგი სინტეზია ავტორის და მსახიობის და თავის ვაგებას ახვევს მოთააწუთ. დღეს მთავარი დადგმაა და თამაშიც ამ დღეების ვაგების ბუნებას უნდა ეგუოს. მსახიობი უბრალო თიხა რეჟისორის ხელში.

ელ. დუშეს ასეთი რეჟისორი არ უყვარდა, მის ბუნებას არ ეგუებოდა სხვათა „ვაგება“, და ვინ იქნებოდა ისეთი თავხედი, რომ მისი თვალუბისათვის ელვარება ესწავებინა. მისი ინდივიდუალობა უფრო მაღლა იყო. წინააღმდეგ—მისი თამაში აცხოველებდა და ათამაშებდა დანარჩენთ. დასი თვით იყო მასალა მის ხელში და ყველანი იღუმალ გარბობდნენ ამ დიდ ბუნების სტიქიას თვითონვე მისი მოქმედების პარონიათ (დაამტებათ) ხედიოდნენ. მიიწვ შორს იყვნენ მისგან დასი და რეჟისორიც... იგი ობოლ ვარსკვლავათ რჩებოდა და მყუერბეული მის მერტ ვერვის ხელდავდა. მთელის არსებით ეძლეოდა ამ სულის დაუხტრომელ ღელვას; მისი თვალუბიდან დიდი სვედა ნათელს სვეტათ ესვენებოდა გულში ყველის და დღესაც გარბობს და იგონებს ყველა ამ ცხოველი სვეტის ძალას: რამდენი უმეგვო ცრემლები და ამთლიანი მის მყურებელთ, წმინდა ცრემლები და აივთ მთორწყო დიდი ხელოვანის მთელი გზა. ელ. დუშე არა

### მეოკლიური სახე

მზეოსან სამხრეთის სიღვარე დაკავაშეობდა ჩვენთა წინაპართ.

აღმოსავლეთის მზე დაქაქაქებდა. ელულა და ალგუნება და სულა მისას. მრავალ საუკუნეთა სამარადისო დიად რომის კულტურა ასხივოსნებდა.

სუმერ-აკადელითა სულმა შეაჩავა და ძალუმ ტანჯავათა შედლომ მოგვიძღვნა ჩვენი ერის თვალსებობის და სულიერობის განსაკუთრებულნი ყოველმხრივ შეხმატკბილებული სახიერება.

სად შეხვდებით ამ ჩვენს განსაკვირვებელ საუკუნეში, დიად იდეათა ეპოქის დროს ისეთ ერს, ისიც პატარას, რომელსაც ჰქონდეს ესოდენ თავისებური თვალტანადობის და სულის სიფაქიზის სახიერება, როგორც აქვს ჩვენს მრავალტანჯულ ულამაზეს ერს.

მრავალ არიან ტურფა სახენი... და მსური თვალსაჩინო სახეთა შორის მამი ჩემს სახიერებაც დარჩეს საშვილიშვილო ხსოვნად.

აი მისი სახეც: მაღალი, სწორსაშიმორი ტანი, ნამდვილი აპოლონისებური სახე: ფაქიზი, სწორი კეკვიანი ლამაზი შუბლი, ატალღებულნი შავი თმებით დამშვენებული, რომაული ცხვირი, მოქნილი მკლავები და მორქმული ფეხები; მკვირცხლი და ფეხმარადი. მარმარილოს

ტანი. შავ წურბლზე ქვეშ განსაკუთრებული თვალუბი. თაფლის ფერი თვალუბი, ხან მრისხანე და ხანაც სათიწობით ალსავსე. დიად ზებვისს წვერები, რომელნიც მთელს მისს მშვენიერ არსებას აღმოსავლეთურ სიღარბასსულს ზენდენენ. მოდგმის მრავალ საუკუნეთა კულტურა: სილამაზე, შორსმკვირტელობა, ახიანაქება, გულწრფელობა და ვაქაკობა. ჩინებული მწვინობარი: მშობლიურ ერის და კულტურის მცოდნე, ენაწერიანი, ნიჭიერი კალმისანი. წარმატული ხმის მქონე-ზეღმტკაი მოძღვრალი. ძველ ქართული სვედიან ბაიათების მწიფიანი მესიდილუმე, სუფრის მოკეკლუმე. განსაკუთრებული მონადირე.—მკვირცხლი და უარესად დახელოვნებული თოფის ხმარებაში.

უმაღლესად პატრონანი და დირსეულიადამიანი. ხალხის ქვემარბიერ მოყვარული, სხვათა სვედიანამის ნამდვილი მესიდილუმე. ცრუ ამპარტყნობის მკიცხავი, პირადიბირი მიქმელი; ოჯახის უბიწოების და სპეტაკობის უტყვილშობილესი სახიერება.

... ჩვენი ცხოვრება ზომ სიზმარია, ლეგენდა, ზღვის ტალღებით ათამაშებული, ზამთრის პირას ვითა ხის ფოთლები. ჩვენს ცხოვრებას ფოთლები სცევია. გრეგოლო ქარი. ცივი დღეები.

ბაეფილი ზღვის პირას თამაშობენ. მობობიან და ვარბიან.

ჩვენი ცხოვრება ლეგენდა, უტყო ლეგენდა. **პ. იმპორთელი.**

მარტო მსახიობთ და რეჟისორთ იმორჩილებდა და ატყვევებდა მისი ძალა უფრო ღიღ მასშტაბის ხელოვანზე გადადიოდა.

და უმდიდრესი, საიდუმლო ენებით აღსავსე შემოქმედება გაბრიელ დანუნციოსი უფრო ელეონორას პირშია. მთელი საზღაბრო ქალების გაღვრეთა პორტრეტებია ელ. დუზესი გაბრიელ დანუნციოს მიერ აღმუქვლი; და მთელი პრესაც მარტო მისი თეატრის სედის ძალამ შექმნა... ეს როლები სპეციალურათ მისთვის დაუწერია დანუნციოს და ენ იცის—მის შემდეგ კიდევ ასე იმეტყველებენ ეს პორტრეტები?

ამის ნიშნები არა სჩანს და ბერლინის საუკეთესო თეატრში დანუნციო დამარტეობა... უმეორიორად მათი გამარჯვება შეუძლოთ მიანიათ.

უდიდესია ტკივილი ხელოვანისა. მოწამე, მიწეხი მისი რენესანსის დღეს სდუმს და დამწუხრებული დიდი პოეტო მუსოლინს დეპეშით სთხოვს იტალიის დიდა ხელოვანის ცხედრის სამშობლოში გადამოსვენებას.

მუსოლინის პასუხი კიდევ ერთხელ მტყვევლებს ელ. დუზეს მომხიბლავ ძალაზე: მან ადრევე მისცა ასეთი განკარგულება იტალიის ელს ამერიკაში.. თითქმის მუსოლინი თავსაც კი იმართლებს, რომ მან სთხოვა დიდ ხელოვანს ამერიკაში წასვლის წინ—ხელი აეღო ამ მძიმე მოგზაურობაზე, რადგან იტალიის ხაზინა მისთვის უხვად გაიხსნება, როცა ის თეთონ ამას მოისურვებს. მაგრამ ელეონორამ ეს არ ისურვა, მის ფულების გზის გახსნა არ სწყურიადა. მის როგორც წმინდა ქურუმს, მარტო ხალხის გულის გახსნა სწავდა..

და გახსნა კიდევ ერთხელ ეს გულები და ნორჩი იბნის ცერები უხვად ჩაიფარა შიგ, მაგრამ ვით რომ სტრადეიაროუსის ნახი ქაინურიც დაიმსურა, თეატრების ელვარება ჩაქრა და ქეთინი მორს, შორს გაიხმის.

თამარ გოგოლაშვილი.

ბერლინი, 1921 წ.

### დაგა-სოფლის მოღვაწენი



ანა ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი.

ანა ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი. და არ არის გამხდარი ფართე მასის საკვებ საგნად გადაქცეული. მართალია სკოლათა რიცხვი ამ ბოლო ხანებში გაიზარდა, მაგრამ საყოფიეროთა არ არის გადაქცეული, როგორც ეს დასავლეთ საქართველოშია. კახელი გლეხის შეილებს

დიდი უმეტესობა სკოლის გარეშეა დატოვებული, ღამის მჭერობისა და ენახის მუშაობისთვის.

კახელის ჩამორჩენილობით აიხსნება, რომ დღეს თითქმის ყველა დაწესებულებაში არაკახელები მეტია, რაც ხშირად უკმაყოფილებს იწვევს აღვილობრივ მცხოვრებლებში, რადგან ყველამ არ იცის კახელი ხალხის ზეჩეველება, და მეტათ უხეშათ ექცევიან. თავის თავად ცხადია, ასეთ მფეომარეობაში მყოფ კახეთს ნაკლებათ ეყოლება კულტურული ძალები და საზოგადო მოღვაწენი,—ართათუ ნაკლებათ—ისინი საწილით სამეზარნი, იშვიათნი არიან.

ერთ ასეთ იშვიათთავანს ეკუთვნის მასწავლებელი ანა ნიკოლოზის ასული ყაზახაშვილი.

იგი თითქმის 40 წელიწადი ემსახურებოდა განათლების საქმეს და იცავდა ქართულ ენას ნიკოლოზის ბატონობის დროს; მასწავლებლობდა არა მარტო სკოლაში, არამედ აუარებელი მოწაფეებით ჰყავდა სკოლის გარეშეც და ღარიბებს სრულიად უფასოთ ასწავლდა: „ნიკალაევანსათან ვისწავლებდი წერა-კითხვა“, გეტყვის თითქმის ვინც კი იცის წერა-კითხვა თელავში და მის მახლობელ სოფლებში. ის საყვარელი მასწავლებელია განსაკუთრებით ღარიბთ გლეხის შვილებს. მისი თაოსნობით, თავდადებული შრომით აშენდა თელავში ორ სართულიანი საქალაქო სასწავლებელი და ნესტთან ქობიდან მოწაფეები მშენებერ ქალაქურათ მოწაფილ სასწავლებელში გადაიყვანა. ეს ვებერაილა შერბობა მან თითქმის შემოწირულებით და წარმოდგენა-სეირინობიდან დარჩენილი ფულით ააშენა. ამ ორმოცი წლის განმავლობაში არ ყოფილა რაიმე საზოგადო საქმე, რომელშიაც ანანს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და ხშირად მისი ინიციატორი არ ყოფილიყოს.

განსაკუთრებით უყვარს თეატრი. ყველამ იცის თუ რა ძნელი იყო ნიკოლოზის ბატონობის დროს წარმოდგენების მართვის ნებართვის აღება, განსაკუთრებით პროვინციაში. ანა ახერხებდა ამ ნებართვის აღებას და მართავდა წარმოდგენებს. თავს დასტრიალებდა და ეივრესებოდა სცენის მოყვარებებს, რომ გული არ წახდენოდათ. ის შოფლოდა სცენის ყველა ნივთს.

განსაკუთრებით უყვარს ღარიბ მოწაფეებისა და ჯარში გაწვეულების დახმარება. როცა ნიკოლოზის დროს ჯარში გაწვეულებისთვის კრებულა შემოწირულებას, მის ეტკოდნენ ხშირად: ნიკოლაევანა ეგ ხომ ნიკოლოზის ტახტის გამაგრების ხელის შეწყობააო! იგი ღიმილით მიუგებდა: „მე შემეცდარი აზრია. ნიკოლოზი-გი არ მედარდება, მე მედარდება ჩვენი ქვეყნის შვილები არ დაიხონენ ცივ რუსეთში“. ანანს დახმარებაზე უარს ევრავდა იტყუიდა რადგან დარწმუნებული იყვენ ყველა აღმებელი კაპიევი თავის მიზანს მიღწევდა

აი, ასეთი ადამიანი, რომელმაც თავის სიკაცხეზე სახლხო კეთილ საქმის სასახურის შესწერა, დღეს განიცდის ნივთიერ გაქირვებას, რადგან ის ამ

წლის თებერვლიდან შტატ გარეშე დატოვებულნი მიზეზით ასახელებენ მოხუცებულებას.

თელავის მოწინავე პირნი ემახადებიან ამ დამსახურებულ ადამიანის იუმბილესითვის. დარწმუნებულნი ვარ, მთელი თელავის საზოგადოება მიიღებს მხურვალე მონაწილეობას ამ იუმბილესზე და მით დაანახებენ ყველას, რომ შეუძლიან დაფასება ადამიანის, ვინც ხალხის უანგარო სამსახურით დაიმსახურებს საზოგადო მოღვაწის სახელს.

სოსო მაჭავარიანი.

### დაბა-სოფლის სქანის გუშაგანი



თუ რა ჰაბანწყვეტიტ მუშაობენ დაბა-სოფლის სქენის მუშაგანი,—ეს არავისთვის დაფარული არ არის.

მოუწყობელი სქენა, სქენისმოყვარეობა მიმლაყინწობა, ინტრიგანობა და სხ., —აი რა პირობებში ტრიალებს ქართველი რეჟისორი, განსაკუთრებით პროვინციაში.

რეჟის ალ. ჯაყელი.

ასეთ პირობებში მუშაობას განა რომ დიდი სიმხნევე უნდა.

ერთი ასეთი პირთაგანია ალ. ჯაყელი, რომელიც 1900 წლიდან ეწყვეა ქართველი მსახიობ-რეჟისორის მძიმე უღელს.

იგი მუშაობდა ბათომს, ქუთაისს, ტფილისს, ლანჩხუთს, სამტრედიას, ჩოხატაურს, ხიდისთავს, ოსურგეთს, ჩიბათს, სენაკს, დუშეთს, ლაგოდეხს, ველისციხეს და სხ.

ამ ჟამად ქ. გორშია დასის ხელმძღვანელ რეჟისორად.

მისი გეგმით და წინადადებით გორის აღმასკომი შეუდგა თეატრის გადაკეთებასა და დეკორაციების ხატვას, რომლის ნაწილი უკვე შესრულებულია.

ა. ჯაყელის ეკლანი გზა გავლილია,—ვესურეცებთ მომავალში უფრო პეტის ძალღონით ემუშავნოს დაბა-სოფლის სქენის სასიკეთოდ და თავის სასახელოდ.



### ანაგის სახალხო სახლი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ს. ანაგაში უკვე ააშენეს სახალხო სახლი. ამ სახლის სააღმშენებლო კომიტეტის წევრნი არიან: ვიქტორ ედიგარაშვილი, შალვა დარჩიაშვილი, ლადო, ვასო

და ივანე მჭედლიშვილები. საქმეს ეხმარებოდა სილნალის აღმასკომი და განსაკუთრებით პარტკომის პმგ მდივანი მოსე ვარამაშვილი.

ზემოხსენებულ პირთა გარდა, ამ სახლის შენების საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღო აღმასკომის თავმჯდომარემ სე. გოგოლაშვილმა (ანაგელმა გლეხმა), კომიარეისი ყოფ. პ. მ. მდივანმა სტეფ. დარჩიაშვილმა, სამაზ. პარტკ ყოფ. პ. მ. გ. მირიანაშვილმა და სამაზრო პარტკომის თანამშრომელმა ბესო ბილანიშვილმა.

დეკორაციების დასახატავად და სქენის მოსაწყობად ტფ. სახ. ოპერის თეატრიდან ვ. სვიმონიშვილმა გაუგზავნა დეკორატორი ნოეჯი და სქენის მომწყობი გ. ამინაშვილი. სახალხო სახლის საზეიმო გახსნა მოხდება ივნისის 14, შაბათს.

ამ დღისთვის სააღმშენებლო კომიტეტის გაწვევით ანაგას ჩავა ტფ. სახალხო თეატრის დასი, რომელიც დასდგამს ტრ. რამიშვილის „მეზობლე ბი“-ს. გაწვეულია ვ. სარაჯიშვილიც. საკონცერტო განყ. მონაწილეობისთვის. წარმოდგენის დაწყებამდე სახალხო სახლის მნიშვნელობაზე ითქმის სიტყვა-იქნება მილოცვებიც.



### სახალხო სქანის გუშაგანი



სოკრატ სულთანაშვილი.

სახალხო კავშირის ღრამ. წრის დამაარსებელი რეჟისორი. 20 წ. მუშურულდა, რაც ქართ. სქენის ემსახურება, როგორც მსახიობ-რეჟისორი და ხელმძღვანელი. პირველად გამოვიდა ავლაბარში, 1904 წ. ამ ჟამად ფოსტელ. უწყების თეატრ-სოლუიში ხელმძღვანელობს ქართულ დასს. მისის 12 გაუმართეს საზეიმო საღამო-წარმოდგენა.



# პატარა ფელეტონი

გასასლგამბტაჟუქვის ზონცატრნი

(სცენა ოზურგეთში)

— გამარჯობა ზევირიკა!

— ბეჟუქას გაუმარჯოს ლმერთმა.

— რავე ხარ ჩემო ზევირიკა?

— რავე ექუნიბი, სხვა არა მივირს რა, მხოლოდ ამ სიბერემ კი გლახა დროს მისწრო, ძამიავ.

— მაგას ვინ გავექცევა; მეც ხომ ხედავ შევიქუნსხე და წველს ძელიათაი მივათარევ.

— ბეჟუქავ, რა გვეიგე იცი...

— რაი ძამიავ?

— რაი და ლერმინიაში ვინცხა დიდი ნასტაველი ფროფესორი ყოფილა შტრენიანი, მას გამოუგონია ისეთი ოპელკია, რომ ბერიკაცებს აყმაწვილებს თურმე.—ასი წლის ბერიკაცი კუროსავით ასაკეინჩილა, ისე ვახანლაგაზრდავა თურმე.

— დედავ, რას მელაპარაკები ზევირიკავ, მაი თუ მართალია, ჩვენც ვავიხანლაგავდავით თავი და გვეგუქნით ერთი კლიო, მარა ლერმინიაში ვინ წავე მიგზხა...

— ლერმინიაში რა გინდა ბეჟუქავ, თბილისშიაც აკეთებდნ თურმე მაგას ფროფესორებო.

— ბიკო ვავკეთებულკაროთ კაცი და ავია.

— შენ კიდევ რა გიჭირს ქვრივი ხარ; მე ხომ იცი რა მომივიდა.

— რაი ზევირიკავ?

— რაი და ქალი შევირთე ძამიავ.

— როის მიერ?

— როის და კაი ხანი იქნება. ჩემი მარიკელია რომ მიმოქცა, ქალის შერთვას რავე გვეფიქრებდი. სანი წელიწადი გიორგი ბერიკით ვავატარებ. მარა მერე ამიტუდა საშინელი უფილობა. არ იქნა ძილი არ მიმეკარა თვალზედა მიელ დამეგებს თეთრთ ვათენებდი... ვითქიერ რაცხა კაი ალბრა ჩემ თავზე მეთქინ და მივედი ტიტკოთა ექიმთან.—ბატონო, რაცხა ძილის წამალი მომეცი, სულ არ შეძინება დამე მეთქინ.

გამწინჯა, გამომწინჯა, მიმბარუნა, მომბარუნა, ახზედა დამხედა.—რამდენი ხანია ცოლი რომ მოგაკდა ზევირიკავო.

— დედავ ბატონო, სწორეთ სამი წელიწადი იქნება მეთქინ.

— აბა ცოლი შეირთე და უძილობაც გადი არსო.

— რას მემასხრები ბატონო, წამალი მომიცი ძილის მოსაყვანი მეთქინ.

— აი არ გემასხრები, ნამდვილათ გეუბნები, ცოლი მოიყვანი და ეს იქნება შენი წამალიო.

გამომბრუნდი უკანვე ვაბრუებულაო. ორიოც-და ათი წლის კაცი ვარ, სამი შვილის მამა და რაფერ მოვიყვანო ქალი მეთქინ. დავწვევი დამე, შენც არ მომიკვდი, იგი ქალის მოყვანა რომ ჩამწდა ყურში, კილო უფრო დამეკარვა ძილი და მიელ ლამეს აქეთ-იქით გაშმაგებინდი ვბრუნავდი. რალა ბეგრი ვავგარძელო, ვადავსწვეტე ცოლის შერთვა. ჩივედი ბაზარში, გვეიპარეე წვერი ანტონა დლაქიანი, ულვაშები ვადეწვიწვიედი და მივედი ფარანოხა მაშვალთან აბა ფარანოხა, ერთი ქალი დამისიჯანი მეთქინ. ისიც მიხდა რაშიაც თუო საქმე, იმ წამაშვიე დავაუცურდა და ერთს შავათას სავაღოს გაუღდეთი გზას მე და ჩემი ფარანოხი ქალის დასაინწინათ. იმ ოჯახბაქტეულ ფარანოხას უთხარი, ცოტა ხანში შესული კაცი ვარ, ასეთივე ქალი გამომირჩიე მეთქინ. მან კი ოცი წლის გვო გამომირჩია. შენ ზევირიკავ ისეთი ვაქაკი ხარ, რომ ხეთ ქალს დააბერებო. რალას ვინამდი დაუჯერე და შევირთე ის ქალი და მართლად ისე ტებილათ დამეძინა, რომ ბიბიურცი აღრა მესმიადა ყურში. მარა ახლა მე ძალიან მოვებუდი, ჩემი დედაკაცი კი ისევ ახალგაზრდა და ვატყობ, რომ მეტლებურათ ველარ უსწო რებ იზტას და მეშინია, ვინმე კახახ არ ამოიყენოს ლოჯეში, სირცხვილი არ მაქამოს კაცს. და თუ მაი მართალია, ვაკეთოდე კაცი, ჩემს საცხოვრებელს მივსცემ იმ ვინცხა შტრენიანი, თუ კიდევ გამომასკვინჩილებს ერთს.

— ამფერუმ კახახო, რომ კილო ასე კოჩილი ხარ! შეიდობთ ზევირიკავ!

— შეიდობთ ჩემო ბეჟუქავ!

გრ. კ.—ა.

# რ ე ც ე ნ ზ ი მ ბ ი

**სახალხო თეატრის** ისტორიაში მაისის 11 ახალი ხანის დასაწყისია. ამ დღეს ქართ. ხალხურმა დრამამ მოგვცა შვენიერი თავისული მსოფლიო სულისკვეთების, მშობლიურ ძლიერი სიტყვის, მუსიკის, მხატვრობის, ცეკვის, სცენის მოყვარე მახიობთა და ოკეისორის თვითშემოქმედობისა.

დაიდგა ნიჭიერ მგოსან—დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის ახალი ორიგინალური პიესა „სპარტაკი“.

წარმოდგენა გამართა სახალხო თეატრის მუშაკთა წარმეჯერიანმა და ამით სთავა კიდევ, თუ რა საშუაო გეგმა დაუსახავს, ან ოროგო ესმის ხელონეების დანიშნულებმა.

წარმოდგენის დაწყებამდე რეჟისორმა ვანო ბარველმა დამსწერი საზოგადოებას მოკლე სიტყვით განუმარტა სახალხო თეატრის სახელსაწყო ნაკლი და სცენის მოყვარეთა მუშაობის მიმე პირობები, რის გამო შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ პიესის შესაფერისად დადგმა.

მიუხედავად ყველა დამბარკოლებელ მიზეზთა წარმოდგენამ დადგმა-შესრულებების მხრივ სასტუდიად ჩაიარა.

მხატვარ ვლ. სიღამონ-ერისთავის ცხოველი ფერები, კომპ. დიმ არაყიშვილის ნახი ჰანვენი (ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ორკესტრის ხელმძღვანელობით), ბალეტო (სერგეევის ხელმძღვანელობით) და სცენისმრეგებთა შეხამწყობილი თაპაში ავირგვინებდა პიესას.



აქ უთუოდ სჩანდა რეჟისორის გამოცდილი ხელი, გამოვლენა და ცოდნა.

იყო მცირედი ნაკლი (მაგ. 2 მოქ. მღორედ სვლა, აქვე ყველას თვალდათვალ ჰაში დამალუა, ზოგიერთ გლადიატორთა არათანზომიერება და სხ.), მაგრამ ეს საერთო ელემენტს მინც არ ბღალავდა: საოცარი ის იყო, რომ მისოდენ მწელი პიესა (ლექსად, რთული), უამრი მონაწილეებით ასე შეაზავეს.

კერძო აღმსარულებელთაგან ირკვეოდენ გ. თაზიშვილი (სპარტაკი),—სრულის შეგნება-დაკვირვებათა განსახიერება მონადქმნილი, მაგრამ სულით მსღორცი, ტანით ახოვანი, ხნით ჰქვეპარე მემბზოხე, მონა-გლადიატორთა მესვეურთი: ვატაცება, გონიერება მოამქეთათვის თავდადება და უღირსი ცილისწამებით სულიერი ტანჯვა ბუნებრივად ვადმოგვცავს; 6. ჰანკვეტაძემ (მეტრობი) შექმნა ძველი რომის ავმაზე, ვაქჩილ-გიძეყვრა, ყოველი ნაზიჯსა და ამოსუნთქვის ოსტატურად მომზმზარებელი; 6. ჩიხლაძემ (ვალერია) გვიჩვენა რომაელი შეყვარებული ქალის ხატება, რომელიც სიწმიით უფრო მეტს მეტყველებს, განსაკუთრებით სვეტთან ატუხული, როცა მიჯნურს (სპარტაკს) განწირულების წუთებში სკერტეს; ა. ლიონანიშვილი (სულა)—ცბერი, ბოროტი, დინჯი, მდიდური სისხლისმწოველი რომის ბატონი; ლ. თავდგირიძე (ოკნომანი)—გულ-უბრყვილო, ხეპრემოუხეშავი, რომელიც ქალის ქსელვში ვერ გარკვეულა და საერთო საქმესთან ერთად თავსაც იღუპავს, ვ. ნინიძე (კატერინა) რომის კეთილშობილი, თავითფხამდე რომაელი, რომლის სიტყვა და საქმე ერთსურს შექსკლებია, პ. ლორთქიფანიძე (ეცტობი-დუ)—სიყვარულით დაუმკაყოფილებლობის გამო შეურით გაეღწიოილი, პირადი ბედნიერების ძიებით საერთო საქმის დამღუპელი.

აი, რა შთაბეჭდილება შექმნენ ზემორე ხსენებულთ. აქვე აღსანიშნავია ა. ბადრიძე (კუროინ მეცი), ი. ბუთიანიშვილი (მათხოვანი)—როლებს დახასიათებით შემსრულებელნი, ს. რომ.-დგებუაძის, ვ. კობელი, ვ. ადამიძე, რ. სალაყაია, მ. ლორთქიფანიძე და სხე.

გეტრებების გამოსვლამ სამიკიტნოში სახალხო თეატრის სცენისთვის უწყველო შთაბეჭდილება შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსად დაწერილი პიესა ყველა სცენის მოვარეს ლაგამივით ჰქონდა პირში ამოღებული, მინც სინძელე სძლიეს, ყველას მომზადება ეუყობოდა.

რეჟისორ ვ. ბაგოვლამ ამ წარმოდგენით უმეკულად საირეისორო გვირგვინით შეიმკო თავი.

პიესამ გაიმარჯვა იდეურობით და შესრულებით. მესამე მოქმედების დასრულებისას საზოგადოებამ მსურველ ტაშით დაავილოდვა დარბაზში მყოფი ავტორი (სანდრო მანშააშვილი), ხოლო მეოთხის დასასრულს—სცენაზე გამოიწვია. აგრევე ტაშით დაავილოდვეს რეჟ. ვ. ბაჩიშვილი, გ. თაზიშვილი და სხ.

დარბაზი გაქვილილი იყო ხალხით და წესიერბაც სიმავლობით.

ეს მიეწერება „ჯეირანის“ მეცადინეობას: ამ საღამოს მოწესრიგეთა შორის შეგნიშნეთ ძველი დამსახურებული მუსიკა, სახალხო თეატრის დარბაზგანგებითარების თანამოღეყვნე, განსაკუთრებულის ნიშნებით, როველთა მარტო შეხედვაც კი პიესების ცემას იწვევდა ხალხში და წესს არ არღვევდა.

პიესა რამდენჯერმე დაიდგა და, ალბად, ხალხურ თეატრის რეპერტუარში საპატო ადგომით დაიჭერს. მაყურებელ-მსმენელი მუდამ მადლობას შესძენის ავტორსა და სახალხო თეატრის სცენაზე მის უანგარო შემსრულებელთ: პიესაში წითელი ძაფით გაველებული ახრი—მონათა აღბორებება, ბრძოლა დამპყრობელ მტარავალ წინააღმდეგ, მომქეთათვის თავდადება, სიყვარული და სხ. მუდამ მოხიბლავს ხალხს. **უსავანო.**

**წითელმა თეატრმა** პროლეტკულტის თონობით და დ. კობახიძის რეჟისორობით წარმოადგენები დაიწყო სახალხო სახლში მაისის 1. დაწვრილობით შემდეგ.

**ოროთაქლის** აშხ. ლენინის სახ. მუშათა კლბში (ყოფ. ვერხვანის პროლეტარიატის) კვირის, მაისის 18 ს აშხ. ე. კულულაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა „კომარბაზის ცხოვრება“.

მონაწილეობდნენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი. როლები კარგათ შესასრულეს: ყორესი—ე. კულულაშვილმა, ვარნერის—ი. ასათიანიმა, ამალიას—მარი ასათიანიმა, ღერმინის—გ. პაპანიშვილმა. ალბერტის—გ. შათირიშვილმა, ყირარდასი—ანიჯა მარქაროვამ, ვალენტინოს—გ. ყუყუენაშვილმა, პოლიციელს—ა. ხუციშვილმა და ყორეტას—ნორა შათირიშვილმა (12 წლისა).

ხალხი ბლომით დაესწრო. წარმოდგენამ კარგა შთაბეჭდილებაც დასტოვა. უჩრავდა საკუთარი შთასაბერ საკრავთა გუნდი აშხ. ვ. სულხანიშვილის ლობტაობით. წარმოდგენა ნაწუადამევის 2 სათაზე გათავდა. ასეთ დაგვიანებას ბოლო უნდა მიეღოს მუშა ხალხის საყვედურის ასაცლებას.

**სერჯ ზაალი.**

**ბათოში** მარჯანიშვილის ჩამოსვლამ აუწერელი აღტაცება გამოიწვია. პირველი წარმოდგენა „ცხვრის წყარო“ წარმოდგენებს დიდის აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება.—მიხვდით, რომ ქართულ თეატრის პორიზონტზე ახალი ხაზები იხსნება—ძველი თეატრის ადგილი უნდა იეთაშოს ახალს. ახალი თეატრი შემოფარგლული უნდა იყოს ახალი პრობლემებით. დღეს ჩვენ რეჟივლე განათლებულ ქვეყნის შეგვიძლია შევეყვაროთ: ნუ გვცინათ (ხელოვნების დარგში) საღათას ძილს ვიყვეთ მიცემული, დაჰკრა ეანმა განათიდას და ჩვენც გამოვფიხზდით, არ ჩამოვჩივით, ჩვენც გვაქვს ხელოვნების ტრადისადაც ყოველი ხელოვნების მორტოვალ თვის შეყუდებს. მარჯანიშვილმა დაანთო ჩვენს გულში ჩაუქრობოელი ცეცხლი ხელოვნებისა. დღე, იხანგრძლივს მისმა ნიჭმა, რომელიც არ დაიფიხვებს ქ. ბათუმს და მჭორედ სტუმრობის დროს ქართველებსა დაგვიანებებს, ქართულ სცენაზე, ქართულ პიესებს

რომლითაც ჩვენ მოგვეცემა საშუალება მსოფლიო ხელოვნების კაბადონზე ავანთით ჩვენი ლამპარი.

**ბ. კ—ლი.**

**სიღნაღის** სკენის მოყვარებმა ამხ. ი. მოსაშვილის რეჟისრობით შეადგინეს დამი და ადგილობრივ პოლიტგანმათან ხელშეკრულება დასდევს. სესონი გაიხსნა ვაჟულ წლის 15 დეკემბერს.

დასი შესდგება 15 ამხანაგისაგან (6 ქალი და 9 ვაჟი). მათ შორის ადგილობრივი ძველი დამსახურებული სკენის მოყვარენიც არიან (წ. ყახბეგი და სხვ.) დასი მშვენიერი სასცენო ძალაა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი ორიგინალური და ნათარგმნი პიესა დაიდვა. როგორც ყოველთვის პროვინციამი, სკენის მოყვარენი მუშაობენ აუტანელ პირობებში.

„სახალხო სახლში“, სადაც წარმოდგენები იმართება, სკენა თუმცა არის, მაგრამ დეკორაციები ან სრულიად დაფუთილია, ან და დღევანდელ სკენის მოთხოვნებივებს არ აკმაყოფილებს: ბუტაფორია და სხვ. ხომ სრულიად არ არის.

მიუხედავად ამ დაბრკოლებათა, დასი მინც სისტემატურათ მუშაობს და ჩვენს საზოგადოებას საშუალება აქვს ყოველ შაბათს იხილოს და მოისმინოს მშობლიურ ენაზე წარმოდგენები.

რეპერტუარი: „ვაიმბიარი ფთილი“, „მეგობრობა“, „გაწყვეტილი სიმი“, „სულელი“, „ხანუმა“, „რაც აინახავს ვეღარ ნახავ“ და მრ. სხვ.

ადგილობრივ ხელისუფლების მიერ უკვე მიღებულია გადამწყვეტი ზომები და, ვიმედოვნებთ, ამ მოკლე ხანში სიღნაღის სკენის მოუშუავეთ ექნებათ საკუთარი თეატრი.

**ი. მოსაშვილი** გამოცდილი ხელოვანია, კულტურული. გარდა რეჟისორისა, იგი, ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობს ვითარცა მსახიობი.

**სიბონ ჯიხაიშელი.**

**გორის** სათეატრო საქმეს ამ უკანასკნელ მოკლე დროში დაწინაურება დაეტყო. საზოგადოების გულგრობას ადგილი აღარ აქვს,—არ ყოფილა ისეთი წარმოდგენა, დარბაზი საზოგადოებით საესე არ ყოფილიყოს, საზოგადოების მოთხოვნით რამდენიმე პიესა განმეორებულ იქნა, მაგ. „ქრისტინე“ „უმუშევარი“ და სხვა გამოჩენების დროსაც დარბაზი ისევე საესე იყო. საქმის ასე დაწინაურება ინიჭება დასის ხელმძღვანელს სახელობარ ალიოშა ჯაყელს. აღსანიშნავია მრავალი დაბრკოლება—სკენის მოუწყობლობა, მუტაფორიის უქონლობა და სხვა, დიდი ძალღონისა და გამჭიბობის უნდა იყოს ვაიცი, რომ მოახერხოს ისეთი პიესების წაყვანა, რომელიც ჩატარებულ იქნა ამა წლის იანვრიდან სეზონის დახურვამდე. ბევრი მომზადებული პიესა („ნომერი ოცდა ერთი ჯგერით“, „სტუმარი-მისპინძლობა“, „კაი გრაზია“ და სხვ.) საჭირო სკენის უქონლობის გამო ვერ დაიდვა; ჯაყელი ამით გულს არ იტუნდა, იმედოვნებდა ხელისუფლების მიერ აღმოჩენილი დამხარება დეკორაციების შესაყანად დროით

განხორციელებდებოდა, რაც უკვე დაწყებულია და თითქმის 10 პროც. სადეკორაციო მუშაობის შესრულებულია. ამ იმედით ჯაყელი თავისი სკენის მოყვარეთა წრით მუშაობდა. ზამთრის სეზონის დასასრულს გამოცხადდა სახალხო სახლის კვირეული: სამი დღე ზედიზედ წარმოდგენა უნდა განართულიყო პირველ დღეს მისის 8 დაიდვა „ქრისტინე“ (გამეორებით). დარბაზი საესე იყო საზოგადოებით, თვით რეჟისორი ჯაყელი ასრულებდა დათიას როლს ქრისტინეს—ცნობილი სახალხო მწერალი ქალი მარიამ გარიყული. მოქმედებათა მსგეღლობის დროს დარბაზში სუფევა და დიდი სიჩუქე. ფარდის ჩამოშვებისას—დიდი ტაშის ცემა. პიესამ დიდებულად ჩაიარა; როლები ყველა სკენისმოყვარეთა მიერ შესაფერისად იყო შესრულებული, განსაკუთრებით: რეჟისორი ჯაყელი და გარიყული უკანასკნელ მოქმედებაში დაუფასებელი იყვნენ. აგრეთვე სტეფანე გრიჭუროვი (მიქიტანი), რომელიც ასეთი როლები სათვის ზედგამოჭრილია და დიდი მომავალიც მოეწილს. მისის 9 დანიშნული იყო „ოარი რომელი“ და „სიმართლე“. დარბაზი საზოგადოებით გაიყოს. მაგრამ წარმოდგენა აღარ შესდგა; თვითმეტის ნახევარზე ხალხს გამოუტყდაცხდს, ხოსბერიბის მოულოდნელად ავად გახდომის გამო პიესა გადადებულია, საზოგადოება, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ დაიშალა. მისის 10-ს დაიდვა „უმუშევარი“ (გამეორებით). დარბაზი საესეა, პიესა მიმდინარეობს შესაფერისად, დიდებულად იქნა შესრულებული ტ. ცინცაძის მიერ გლობას როლი, მუტაფორის მიერ—გისის როლი. საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ამით დამთავრდა ზამთრის სეზონი.

**გორელი.**

**ქიათურის** სამთამადრო მუშათა კავშირის გამგეობის კულტურაციოლებასთან დეკემბერში დაარსდა მუშათა დრამატული წრე, 24 კაცისაგან შემდგარი. აქედან 12 ყოველ დღე მეცადინეობს დღეში სამ ოთხ საათს და წრის მუშაობა საფუძვლად ჩაითვლება. მეორე 12 კი საჭიროების მიხედვით მოიწვევიან ხოლმე. აღნიშნული 24 კაცი მუშებია, თავის ჩვეულებრივ მუშაობას ეწევიან და წრეში მუშაობას ანიღიმებენ თავისუფლად დროს. ხელმძღვანელად მოწვეულია მსახ. იანგო აბტალიდი, ორი ქალი, მოკარნახე და ერთი გამოცდილი სკენის მოყვარე. ეს სამი ითვლება წრის პროფესიონალ მომშავეებით. გარდა ამისა წრეში მუშაობს კიდევ ორი მუშა ქალი. წრემ მუშაობა დაიწყო იანვრის 15 და დაიდვა 10-დგ წარმოდგენა. პიესები წარმოდგენილ იქნა კარგათ და დიდი ინტერესი გამოიწვია მუშებსა და გარეშე საზოგადოებაში.

მუშების მიერ როლების ასრულებას ეტყობა დიდი დავიკრება და შოობა, რითაც ამ წრის წარმოდგენები იზიდავენ დიდძალ საზოგადოებას.

**შავიქველი.**

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

### განსაჯლებელი—მხატვარი

ეს გახლავთ ვარლამ მახარობლიძე. მოყოლიდით მხატვარი, ხელობი მასწავლებელი. მეტამეტ წელია სასწავლოლოს განაწირო კუთხეებში მასწავლებლობის (პირველად სიანეთში, ახლა ლილიაშ). შეიღობრა წელიწადია სახმატგრო ფერბმა გაიტაცა და მხატვრობის მოჰკიდა ხელი. როგორც მისი ნახატ-ნაკეთებანა სჩანს, მხატვარს დიდი უნარი აქვს ცხოვრების სინამდვილისა და სიმბოლურ სურათების ასახვაში. მისი რანდენიშე ესკიზი გამოყენილია „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციასო. მხატვრული აღტაცებული არიან ახალგაზრდა მხატვრის ნაშუშეგარიო. მაგრა მხატვარს ფრთის ვაშლა ეკირეება. ეს რა თქმა უნდა, არ შეუქლან სიფლის ღარბი მასწავლებლის. ვისგანაც ჯერ არს, საჭიროა ყურადღება მიექცეს, რათა ტუცილის გადმოვიდეს და თავის მუწოდებას გაჰყუეს. მისი სამხატვრო ყალიბი უსათუოდ საყურადღებოა და მომავალში საწვდემო იქედლებს მოემციე. იობი.

### სიტყვა-პაჯუელი შუაყოქაქაქა

მის. ჯავახიშვილი-ადამაშვილი. მოთხრობები, 1 ტ. 256 გვ. 1 მ. 50 კ.

ძლიეს ყინული გაღხვა. ქართული წიგნის ბაზარს თანდისას ენებება მხატვრული ნაწარმოებნი. ერთი ასეთი კრებულთაგანა „კვაჭი კვაჭანტრიძის“ უნდალო შემქმნელის მ. ჯავახიშვილი—ადამაშვილის მოთხრობები, 1 ტ. (ივ. კარაზაშვილისა და აკ. სვანიშვილის გამოცემა, ივ. გომართლის კრიტიკული წერილით).

წიგნში მოთავსებული ყოველი მოთხრობა მკითხველს სიამეს მოჰყვება, თავისი უბრალოებანიმარებით და ცხოველ სურათიერობით. აქ გადაშლილია ბედკრულ-დავიწყებულ ადამიანთა სულის ვითარება, ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ცხოვრების სინამდვილე—ისეთი უსაზიანო ენით, გულწრფელი გრძობით, რომ ჩვენს სიტყვა მრავალ, ხოლო გრძობა გამოეთეტულ ნეიგნობრულ ხანაში მისი წაქითხეთი სიამით ამოსუფთავებ.

წიგნი იგი ყოველი გემოიანი მკითხველის საწიგნობელს უნდა აჰკობდეს სასურველია ქართულმა მკითხველმა ამავე ავტორის შემდღვი ტომებიც დროით იხილოს. ი. წინამდღარი.

### ლაუ თუჩაძე (ი. რ. ბაქრაძე)

„ასე სწავდა დაუ...“

ტულისი. 1924. გამოც. ა. რუდინის. გვ. 24.

სახელწოდება წიგნისა უსათუოდ იორიგინალურია და ბევრის მემჭელი. ავტრიო გულწრფელი ნიქშენელია და იხდივლდუალისტური გუების ვაშლით მსურს გვიჩვენოს ადამიანის სულის სიდიდე და პირიყებების იღმეშლება. გზაჯვარდინზე მდგორეს, ჰყვადავს იგი უსახლოროდ იღმეშლ სულის სიერეს და ისმენს შორეულ ხმას იღმეშლს. ადამიანმა უნდა ჰაღმართის დაბაზი სულის... რომელშიც დაფარულია მომავლის მიხენი. „ხმა იღმეშლიც განთიადია, ზნეობა—შუადი, პირიყენება—სალამი, სული პირიყენების—შუადი... შუადიგა—სიდიშელოებება საიდუმლომოლოა“ ადამიანი. უნდა ჩასწოდდეს თავის „მე“-ს, მოსქენის „ქვაქუთხედი თავისი ძლიერების“...

წიგნი მხოლოდ ნაწილია იმ წარმოების, რომელიც ავტორის განუხრახავს, და, როგორც ასეთი, გამართლებულია და იღრისა დღესების. გ. ი.

### ხელოვნების ქრონიკა

სახელწოდება გამოცემლია ახალგაზრდა მოწოდებით ავსებს ქართული წიგნის ბაზარს. პოლო ხანებში გამოცემია დის 10—20 პრიკონ. დასულ. ამ ჟამად ჩვენს წინაშე აწყვიდა მისი სხვადასხვა დარგის გამოცემანი, ერთი მხოლოდ უკეთესი. აქ ჩამოვლით: 1) შ. ნეკუშვიდი—ლოტიკა, პრაქტიკული კურსი. 2) 23 გვ. 2) ისტორია რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) 25 წ. განვითარების და ბრძოლის მიმოხილვა, შ. 5. ლიადოვისა, 133 გვ. ფ. 85 კ. 3) შობრავა თამაშობანი საბავო სიმღერების, ნოტების, ს გოვლოჩიძისა, 72 გვ. 1 მან., 4) 6. ნუგუნის (ვ. ულიანოვი)—გროუნული საკითხი, 354 გვ. 1 მ. 50 კ. 5) ანრი ბარბუსი—ცესკლი, რომანი. ფრანგულით თარგმნილი თ. სახოკის მიერ, 498 გვ. ფ. 3 მ. 6) 5. კ. კულიკო,--ცხოველი და ადამიანის პსიტოლოგიის საფუძველი, ნაწ. II, თარგ. ექმ. ნ. 5. მისიურაძის მიერ, 416 გვ. 112 სურათით. 7) ფ. მახარაძე,--თხულებათა კრებული, ტ. I. წერილები სხვადასხვა საკითხებზე, სამი სურათით 394 გვ. 2 მ. 50 კ. დაწერილითი შედღე.

6. ი. შუთაშვილია შედგინა სისტემატიური კურსი „ლიქია და მხატვრული მტკველება“. წიგნი განიხილა სახელწოდება პედაგოგურმა სამკომ, მოიწონა და სასწრაფოდ გამოსცემდ ვადეცა სახელწოდება გამოცემლობას, როგორც ფრიალ საჭირო და სასარგებლო სახელმძღვანელო მასობითა, ორატორთა, მასწავლებლების, პედაგოგურ ინსტიტუტთა, დრამატულ სტუდიათა და მხატვრული მტკველების ყველა მიყავიოლთათვის. წიგნი იქნება დაახლ. 80 გვ.

„ომის კანდლები“ კაიუს ჰელმა დასწერა ახალი მოთხრობა „ომის კანდლები“.

სევ. გაჩეჩილაძის დასწერა ჰიესა „შოთა“, წინიდა ქართულის სტილით. შოთას ცხოვრებიანი.

შოი მღვიმელის „ჩრეული ლექსთა კრებული“ ყრბითათვის 8—12 წლამდე მოიწონა განათ. სახ. კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ მზრუნველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციამ სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის, წიგნში მოთავსებულია 50 ლექსამდე. დაიბეჭდება მოკლე ხანში.

„ქართული წიგნები“ სიმბურად იბეჭდება ერევანში ჩვენი თანამშრომელის მწერალი ახტონ აუშტროვის რედაქციით. შეიცავს დაახლ. 400 გვერდამდე. წიგნში მოთავსებულია რუსთაველიდან თითქმის ყველა თვალსაჩინო მწერლები ჩვენს დრომდე. მთავრეწელები: თვით აუშტროვი, ზორიანი, გეტუქ ასატურ, ახუშანი ხათუქრიანი, პ. რაენსიანი, დენვიჩიანი.

რუსთაველის თეატრში 19 ივნისს, სამშაბათს, საბავო მგონებნი: მიმქრალი და ილია სიხარულიძე მართავენ საბავო ლიტერატურა—მუსიკის საწვენებელ საღამო-კონცერტს. დაწერილებით აფიშებში.

ქართული თეატრის მოამბის ნიკოლოზ ქართველიშვილის ხსენის აღსანიშნავად გაიმართება საღამო რუსთაველის თეატრში ივნისის 14-ს. მონაწილეობას მიიღებენ ყველა ძველი მსახობანი—როგორც დრამის, ისე ანტირის ორქესტრი და მწერლები.

ეთნოგრაფიული კონცერტი ხალხურ მიმღერალთა და აკადემიურ გუნდის მონაწილეობით, სამ განყოფილება, გაიმართება ივნისის 3-ს. საიპერიო თეატრში.

== ვ უ რ ი ს ==  
იმაღრობის სასურდლო

== ამირ-კავკასიაში ==

ამირ-კავკასიის რეინის გზების ეკონომიური  
== ნ ა ჟ ი ლ ი ==

აცხადებს იმპორტიორების სასურდლოდ, რომ ტარიფების კრებულებში № 135 და 152 და სტაროფო კომისის მიერ № 1250 და 1451 გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად ბაქოს კომერციულ სააგენტოს საწყობები, რომლებიც სადგ. ბაქოს — ნავთსადგურის და ბაქოს—საქონლის სადგურის ტერიტორიაზე იმყოფებიან,

**გამოცხადებულ არიან უნესთან (Завозной)  
საწყობებათ.**

პურის ტერიტორიები (ფქელი, ქატო, ბურღული, ხობალი), რომლებიც ამ საწყობებში შემოდან ჩრდილო-კავკასიის ან საბოთაი კავშირის სხვა გზების სადგურებიდან, შეინახება

**უელავათიან პირობებში.**

ამ საწყობებში ფრახტის გადახდით ბაქომდე ან გადაუხდელია. ამირ-კავკასიაში გაგზავნის დროს კი გავრცელდება ტარიფი მთელ მანძილზე გაგზავნის პირველ სადგურიდან (პირველი ტერიტორიაზე ფურცლით ბაქომდე)

**ღანიუნულში უკანასკნელ საღებავში**

(მეორე ტერიტორიაზე ფურცლით ბაქოდან). დასაშვებია აგრეთვე ბაქოში შემოტანა ხობლის და ბურღულის გადასაფქვად კომერციულ სააგენტოს კონტროლის ქვეშ და ბაქოდან ფქელის და ქატოს გადაგზავნა ტარიფის გავრცელებით შემოაღნიშნულ წესით

**გაგზავნის პირველ სადგურიდან—ღანიუნულში უკანასკნელ სადგურამდე.**

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ბაქოში კომერციულ სააგენტოში და ტფილისში ეკონომიურ ნაწილის ქალაქის სადგურების განყოფილებაში.